# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 27 მარტი 1997 №34 (399) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სომხები ჩვენთან თავს მოიკლავენ

**გვაფრთხილებს კახი ცხადაძე**



გუშინ დილმის ბაზაზე: ბიჭებმა სომხეთთან მატჩისთვის მზადება დაიწყეს

გუშინ, დღის ორი საათისთვის დიღმის ბაზაზე დიდი ხვევნა-კოცნა და სალამ-ქალამი გაჩაღდა: ქართველი ლეგიონერები ერთურთის ნახვით ხარობდნენ. ამ წუთებში ეროვნული გუნდის წევრები ჩვეულებრივი, საქართველოს მონატრებული ბიჭები იყვნენ. როცა ერთმანეთის მოკითხვით გული იჯერეს, ყიფიანმა უხმო ნახევარსაათიან თეორიულ მეცადინეობაზე, მერე საათნახევარი ივარჯიშეს, ზოიძე და ჭანტურია ბურთებით დასეტყვეს, ორკარაც მოილიეს და სანამ წყალს გადაივლებდნენ, ინტერვიუც „გვიბოძეს".



**გიორგი ქინქლაძე**

**— ჯერ „სიტის" გადასვლა-არგადასვლაზე გთქვათ...**

— რვა თამაშიღა დაგვრჩა და მეექვსე ადგილზე მყოფ „იფსვიჩს" რვა ქულით ჩამოვრჩებით, თუმცა მასზე ერთი მატჩით ნაკლები გვაქვს ნათამაშევი. ჩემი ვარაუდით, რვიდან ექვსი მატჩი უნდა მოვიგოთ, ორში კი ფრეც გვეყოფა. სწორედ იმ გუნდებთან დაგვრჩა სათამაშო, პირველი ექვსეულის კანდიდატები რომ არიან, ამიტომ მათთან მოგებას ორმაგი ფასი ექნება ჩვენთვის.

**— რამდენად რეალურია ექვსი მატჩის მოგება?**

— შეუძლებელი არაფერია, ზედიზედ რვა თამაში ხომ მოვიგეთ...

**— ასეთი რა შეცვალა მწვრთნელმა კლარკმა?**

— კლარკი რომ მეათე ტურისთვის მაინც მოსულიყო, გარწმუნებ, აქამდე უკვე გადაწყვეტილი საქმე იქნებოდა ჩვენი პრემიერლიგაში გადასვლა. ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს ფეხბურთზე. კლარკმა ახალ იდეებთან ერთად ახალი ფეხბურთელებიც მოიყვანა: მეკარე რაიტი ირლანდიის ნაკრების წევრია. ასევე გაგვაძლიერა ატკინსონმაც. კლარკმა უკან ორი ღონიერი და გამძლე საყრდენი ნახევარმცველი დამიყენა — შუა მინდორში არავის აზარებენ, ძალლებივით ეცემიან ხოლმე მეტოქეს და როგორც კი ბურთს აართმევენ, მყისვე მე მაწვდიან. კლარკისვე დავალებით ოდნავ წინ ვმოქმედებ და შავი სამუშაოსგან თავისუფალი ვარ. ასე უფრო მეტად ვადგები გუნდს.

**— ყაველას რას ერჩის კლარკი?**

— თუკი ვინმე არას ერჩის ყაველას, ამათში პირველი კლარკია. სწორედ მის ხელში ითამაშა მიშამ და აკი გოლიც შეაგდო. ახლა, როცა გუნდი ხეირიანად ათამაშდა და როსლერს გოლი გოლზე გააქვს, ძნელია აწყობილი მექანიზმის დარღვევა. ყაველას არდაყენებაც ამით აიხსნება.

**— მაშ, 29 მარტს „იფსვიჩთან" უპრინციპულეს მატჩს გამოაკლდებით?**

— არა. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს თამაში გადადეს. „სიტის" შვიდი ფეხბურთელი სხვადასხვა ეროვნულ გუნდში თამაშობს...

**— ინგლისში სულ რამდენი გოლი დაგიგროვდა?**

— ჯერჯერობით თოთხმეტი.

**— როდის და როგორ დაშავდი?**

— ვარჯიშის დროს საზარდული მეტკინა, ყურადღება არ მივაქციე. მეორე თამაშზე ისე ამტკივდა, შეცვლა ვითხოვე, ორი კვირა დავისვენე და ისევ დავიწყე ვარჯიში, სამწუხაროდ, ნაადრევად და ისევ მომიწია ორი კვირით დასვენებამ.

**— ახლა როგორ ხარ?**

— ახლა მეც და ყაველაც ჯანზე ვართ.

**— ინგლისში რას ამბობენ ჩვენს ნაკრებზე?**

— ინგლისელებს უეჭველი გამარჯვება სჭირდებათ, რაკილა ნებისმიერი სხვა შედეგი ჯგუფში პირველ ადგილს აკარგვინებს, ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს.

**— გვითხარი, ბოლოს და ბოლოს, როდის გადადიხარ „სიტიდან"?**

— ისე აგვეწყო თამაშები, რომ ამაზე ფიქრს საერთოდ შევეშვი. როცა ზედიზედ იგებ, ემხში შედიხარ. ახლა მეც ასე ვარ. რაც შეეხება გადასვლას, ამ სეზონის მერე ნებისმიერ შემთხვევაში გადავალ. ჩემი ოცნების გუნდი კი, ადრეც მითქვამს, „ლივერპულია". ძალიან მიკვირს, ასეთი ფეხბურთელების პატრონი გუნდი ჩემპიონი როგორ ვერ ხდება.

**— ჩვენი ალექსიძე და სახვაძე ხომ არ გინახავს?**

— ლონდონში ყოფნისას მატჩის წინ ვილაცამ ქართულად დამიძახა. გავიხედე, ესენი იყვნენ. ძალზე გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით.

**— მაშ, სეზონის მერე უეჭველად წახვალ „სიტიდან"?**

— მოდით, წინასწარ ნუ ვილაპარაკებთ, სად წავალ და როდის. რომ გადავალ, თქვენი დათო მჭედლიშვილი ყველაზე ადრე შეიტყობს ამას...

გაგრძელება მეორე გვერდზე

## THANKS, ROBBIE!

ჩვენთვის ავადსახსენებელ 9 აპრილს ეს ბიჭი, თანაგუნდელ სტივ მაკმანამანს ზურგზე რომ შეხტომია და ხარობს, დაბადების დღეს აღნიშნავს. კარგა ხანია, მისი სახელი არამარტო ინგლისში ქუხს და ხანდახან გავიწყდება კიდეც, რომ ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა...

მისი საქციელი ბევრმა ვერ გაიგო. მაგალითად, გლენ ჰოდლმა, რომელმაც მისი მოქმედება „არაპროფესიულ საქციელად" მონათლა. გასაკვირია, ღმერთმანი! ზოგი, კაცი რომ ხელით გოლს გაიტანს, იმის გამართლებასაც ცდილობს წლების მანძილზე, ამ დროს კი...

ვინც ორშაბათს „არსენალისა" და „ლივერპულის" მატჩს უყურა, დაგვეთანხმება — რობი ფაულერის საქციელი არც ყალბი გახლდათ, არც თეატრალური. ეს რობის ბუნებრივი, ლამის ბავშვური რეაქცია იყო. ბავშვურიო, ვამბობთ, არადა, ასეთი კაცური, ალალი რამ ბევრი გინახავთ?

ეს ეპიზოდი, დაწვრილებით მეოთხე გვერდზე რომ გაეცნობით, იმით დამთავრდა, რომ ფაულერი „არსენალის" მეკარე დევიდ სიმენთან მივიდა და... ბოდიში მოუხადა.

არა, ცხადია, მისმა საქციელმა უმრავლესობა აღაფრთოვანა. რობიმ ბლატერისა თუ სხვა ბონზლათა სამადლობელი წერილებიც კი მიიღო, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ — გმადლობთ, რობი!

## მარგვეთს მდივანი დაუნიშნეს

უპრეზიდენტოდ დარჩენილი „მარგვეთი" მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, რაც მეორე წრის წარუმატებელ სტარტშიც აისახა. ზესტაფონელებმა მალევე მოუძებნეს გუნდს ახალი პატრონი — გუშინ ზესტაფონის რაიონის გამგეობაში შედგა საგანგებო სხდომა, რომელზეც „მარგვეთის" პრეზიდენტად ზესტაფონელი ნუგზარ მდივანი დანიშნეს.

## ინგლისში მითარმბა არასასურველია. იტალიაშიც

გლენ ჰოდლმა მექსიკასთან სათამაშოდ გამოძახებული ფეხბურთელები შეკრიბა. ინგლისის ეროვნული გუნდი ერთგვარად შეცვლილი დახვდა მათი ვარჯიშის სანახავად მისულ ჟურნალისტებს. მოვარჯიშენი მათ შემყურე თანაგუნდელებს რაოდენობით აშკარად ჩამორჩებოდნენ. რვანი, მათ შორის ტედი შერინგემი, ტონი ადამსი, გარეთ საუთგეიტი, მეტიუ ლე ტისიე, სტივ მაკმანამანი და სოლ კემპბელი საწვრთნელი მოედნის ახლომახლოს ელოდნენ ტრავმების მოშუშებას. განაპირას იდგა რობი ფაულერიც. რამდენიმე კაცი ჯიბის ტელეფონით იქცევდა თავს. დევიდ ბეტი და პოლ ინსი ფრენბურთის მოედანზე თავბურთს თამაშობდნენ. ცალკე ექვსეულმა, რომელშიც ჯეიმი რედნეპი და იან რაიტიც ერივნენ, კვადრატი გაახურა.

საბოლოოდ ჰოდლმა მოედანზე 12 ფეხბურთელი შეკრიბა, რომელთა შორის ბოლო წამს გამოძახებულები და დებიუტანტი დევიდ მეიც იყვნენ. ბოლოწამს გამოძახებულნი არიან სტენ კოლიმორი და სტიუარტ პირსი.

მოგვიანებით ჰოდლმა პრეს-კონფერენცია მოაწყო, სადაც განაცხადა: — შესაძლოა მართალიც ბრძანდებით, როდესაც ამბობთ, რომ ისეთ პირობებში ამხანაგური მატჩის გამართვას უბრალო შეკრება აჯობებდა, მაგრამ ჩვენ 5-6 თვის ნაშრომის შეჯამება გვმართებს. ოთხი ოფიციალური თამაშის შემდეგ კალენდარი ამხანაგურის ჩართვას ახლაღა გვანებებდა. მე რომ 15 მატჩის წინ დამეწყო მუშაობა, დღეს სხვა მდგომარეობა მექნებოდა. თუნდაც, ახლა გაისის მარტი რომ იყოს, თამაშს არ დავნიშნავდი, რადგან ვიცი, ამ დროს ფეხბურთელები გადაღლილნი არიან. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მშენებლობის დასაწყისში ვართ, ამიტომ თამაშს დადებითის მოტანა მეტად შეუძლია, ვიდრე უარყოფითის. თუმცა ვითარება ტრავმათა გამო არასასურველია (მე ხომ გარკვეული სისტემის დამუშავებას ვაპირებდი), სარგებლის მოძიება მაინც შეგვიძლია. კერძოდ, ნიკი ბათი და სტენ კოლიმორი ნაკრებში ძალთა მოსინჯვას შეძლებენ. მე ის კი არ მაინტერესებს, ისინი მზად არიან თუ არა, არამედ მათი ნაკრების დონესთან შეგუება. გარდა ამისა, ექსპერიმენტის საშუალება მეძლევა.

ჰოდლმა ისაც თქვა, რომ მექსიკელებთან თამაში სამხრეთამერიკულ ყაიდასთან შეჩვევას ისახავს მიზნად. მან აგრეთვე უარყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და სხვა კლუბთა მწვრთნელებმა მოატყუეს და ფეხბურთელები არ გაატანეს — ბექემს და პალისტერს მე თვითონ არ მივიწვევდიო. ბოლოს კი მწვრთნელმა პირსზე ისაუბრა. თქვა, რომ ნოტინგემელი შაბათს სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

— სტიუარტს ფრიად გაუხარდა, რომ დავურეკე და ნაკრებში მივიწვიე. მთავარი კი ისაა, რომ მის შემთხვევაში ჯერ მწვრთნელთან ლაპარაკი არ დამჭირდა, იგი ხომ თავადაა მწვრთნელი — იხუმრა ჰოდლმა.

ტრავმები გეგმას იტალიასაც ურევენ, რომელიც 29 მარტს და 2 აპრილს მოლდოვასა და პოლონეთთან თამაშობს. კერძოდ, თავდამსხმელებს ფაბრიციო რავანელის და კრისტიან ვიერის ფლორენციის საწვრთნელ ბაზაზე ფეხმტკივანთ მოუწიათ ჩასვლა. ვიერის კოჭი აქვს დაზიანებული, რავანელის — კუნთი. „სკუადრა აძურას" თავკაცს ჩეზარე მალდინის, ეტყობა, ნაკრებში 16-ჯერ ნათამაშევი რავანელის ბედი უფრო აწუხებს, ვიდრე ვიერის, რადგან კაზირაგის არყოფნაში თავდასხმაში ძოლას მეწყვილედ სწორედ ის ესახებოდა.

# სომხები ჩვენთან თავს მოიკლავენ



### მიხეილ ყაჯელაშვილი

[illegible]

### გიორგი ნემსაძე

[illegible]

### კახი კალაძე

[illegible]

### ნუგზარ ლობჟანიძე

[illegible]

### გიორგი ნინუა

[illegible]

### არჩილ არველაძე

[illegible]



### შოთა არველაძე

[illegible]

### დავით ჯანაშია

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები ჩინელებს თურქმენეთში ელიან

გუშინწინ ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებმა თურქმენეთის ეროვნულ გუნდს 3:0 მოუგო. თურქმენეთის ნაკრებში ტრავმის გამო არ უთამაშია ბუბა ტყავაძეს, კახა გოგოლაძე კი...

— 0:1-ზე მსაჯის მორიგი უსამართლობა ველარ მოვითმინე და ვეჩხუბე. იმანაც, არც აცია, არც აცხელა და გამაძევა. გაბრაზებულმა პირდაპირ აეროპორტს მივაშურე და ბედად, თბილისის თვითმფრინავს მივუსწარი. ხვალ ისევ აშხაბადში მივფრინავ, აპრილის დამდეგიდან ნაკრები ბულგარეთში შეკრებას იწყებს: 4 აპრილს ბულგარეთს ვეთამაშებით, მერე ლიტვას და ერთ ბულგარულ კლუბს. 4 მაისს ჩვენს შესარჩევ ჯგუფში გადამწყვეტი თამაში გვაქვს ჩინეთის ნაკრებთან. თუ მოვიგეთ, ფაქტობრივად, ვინაღდებთ გასვლას, რადგან არც ვიეტნამს და არც ტაჯიკეთს სერიოზულ ძალად არავინ მიიჩნევს.

**— ბუბას რა დაემართა?**

— კუნთი დაეჭიმა, ხან მოეშვება ტკივილი, ხანაც უძლიერდება, ამიტომაც გვაკლდა. თურქმენეთის ნაკრებს ახლა სწორედ ბუბასნაირი ფეხბურთელი სჭირდება, ისეთი, თამაშს რომ დაალაგებს...

**— სამარაში როდის მიდიხარ?**

— „კრილია სოვეტოვმა" დარჩენა კი შემომთავაზა, მაგრამ, ფაქტობრივად, ისეთივე პირობებით, თურქმენეთში რომ მთავაზობენ. თანაც თურქმენეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შიხმურადოვი არ მიშვებენ.

**— თურქმენეთში დიდხანს დარჩები?**

— შიხმურადოვმა მითხრა, „კრილია სოვეტოვზე" უკეთეს გუნდს და გაცილებით უკეთეს პირობებს გაგიხერხებ, ოღონდ ეს შესარჩევი მატჩი ითამაშე და ჩინეთის ნაკრები დაგვამარცხებინეო...

**მამუკა კვარაცხელია**

## მერანმა კვარაცხელია დაიტოვა...

19 მარტს თბილისის „მერანი" ფოთში „კოლხეთს" ეთამაშა. შეხვედრა ისე წარიმართა და დამთავრდა, როგორც სტუმრებს აძლევდათ ხელს: „მერანმა" ეს რთული მატჩიც მოიგო გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან და საევროპო პრეტენზიების საფუძვლიანობაშიც დაარწმუნა სპეციალისტები. მაგრამ აქ მოხდა ის, რამაც კინაღამ გუნდი დაატოვებინა „მერანის" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ბადრი კვარაცხელიას.

მომხდარში გასარკვევად და ობიექტურობის დასაცავად ორივე მხარეს დავეკითხეთ — გუნდის ხელმძღვანელებსაც და მოთამაშესაც.

ნუგზარ ნავაძე,
„მერანის" პრეზიდენტი:

— კვარაცხელია მეტად პრინციპულ მატჩზე არ გამოცხადდა. როდესაც მიზეზი ვკითხეთ, პასუხი არადამაჯერებლად ჟღერდა, — ოჯახური პრობლემები შემექმნა და ჩამოსვლა ამიტომ ვერ მოვახერხეო. მის საკითხს გუნდის საერთო კრებაზე განვიხილავთ და გადავწყვეტთ, დარჩება თუ არა გუნდში.

ბადრი კვარაცხელია:

— ოჯახური პრობლემების გამო გუნდთან ერთად ფოთში ვერ გავემგზავრე. ამიტომ მარტოს მომიხდა იქ წასვლა, მაგრამ რიკოთამდე გზა მოყინული იყო და ავტობუსის მძღოლს გადასვლა არ ურჩიეს. რა უნდა მექნა... აი, ამიტომ ვერ ჩავედი ფოთში. არადა, როგორც ჩანს, ჩემს ამ სიტყვებს არ ენდობიან...

თემურ მახარაძე,
„მერანის" მწვრთნელი:

— „კოლხეთთან" შეხვედრამდე, 18 მარტის დილას, კვარაცხელიამ მთხოვა, ოჯახური პირობების გამო გამათავისუფლეთო. ჩვენ 18-ში გავემგზავრეთ ფოთში, კვარაცხელია კი შეგვპირდა, თამაშამდე აუცილებლად ჩამოვალო, მაგრამ ფოთში არ გამოჩენილა...

კვარაცხელიას „მერანში" დარჩენა-არდარჩენის თაობაზე 25 მარტს გუნდის კრებაზე იმსჯელეს. თავად ბადრიმ გულახდილად აღიარა: „ყველაფრის მიუხედავად, ვხვდები, რომ ის მიზეზი, რამაც ფოთში თამაში გამომატოვებინა, ჩემს იქ ჩაუსვლელობას არ ამართლებს — იქ აუცილებლად უნდა ჩავსულიყავი. ეს ვაღიარე კიდეც და ხელმძღვანელებმა ჩემი „მერანში" დატოვება გადაწყვიტეს".

დარჩენით კი დატოვეს, მაგრამ ფეხბურთელი ჯარიმას მაინც ვერ გადაურჩა. თემურ მახარაძის თქმით, კვარაცხელია ორი თამაშისთვის განკუთვნილ პრემიას ვერ მიიღებს.



მახარაძე კვარაცხელიას: ეს ერთხელ გვაპატიებით...

## ...გაბისონია და ამბიძეც დაიმატა

პირველი წრის დასრულებისთანავე გელა გაბისონიამ „სიონი" დატოვა, ბახვა ამბიძე კი „კოლხეთმა" ტრანსფერზე წარადგინა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, „მერანის" მწვრთნელი თემურ მახარაძე მათ გადაბირებას შეეცადა. გაირკვა, რომ ორივე მოთამაშის „მერანში" გადაყვანის საკითხი ფოთელებთან უნდა შეეთანხმებინათ.

კოლხები რომ ამბიძეში თანხას ითხოვდნენ, ეს ბუნებრივიც იყო, მაგრამ რა ხელი ჰქონდათ გაბისონიასთან, რომელიც ბოლნისში თამაშობდა? თურმე იგი „კოლხეთს" „სიონისთვის" უთხოვებია და ფოთელებს გარკვეული უფლებაც ჰქონდათ გაბისონიას სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში.

საბოლოოდ, როგორც თემურ მახარაძემ გვაცნობა, ფოთელები და „მერანის" ხელმძღვანელები შეთანხმებულან, ფინანსური პრობლემაც მოგვარებულა და შესაძლოა, ორივე ახალწვეული დღეს რუსთავში, „გორდას" წინააღმდეგ თამაშში შეეშველოს თბილისელებს.

მახარაძის თქმით: „მიუხედავად იმისა, რომ გაბისონია „კოლხეთისგან" გამოვისყიდეთ, მასზე უფლებას ოჩამჩირის „ამირანის" ხელმძღვანელობა მაინც იტოვებს, რადგან ყველა ლტოლვილი ფეხბურთელი თავიანთ ყოფილ გუნდებს ეკუთვნის".

შეგახსენებთ, რომ „მერანში" ბახვა ამბიძის ძმა — ლაშაც ირიცხება, ასე რომ, ძმები ერთად ითამაშებენ.

# გოჩა ჯამარაული: თუ არ მათამაშებენ, სხვა გუნდს მოვძებნი



სომხეთის ნაკრებთან შეხვედრამდე ლეგიონერთაგან ერთ-ერთი პირველი გოჩა ჯამარაული ჩამოვიდა. არადა, მისი ჩამოსვლის დღეს „ტრაბზონი" „ქოჯაელისფორს" სტუმრობდა. ბუნებრივია, დაგვაინტერესა ასეთ დროს გოჩას თბილისში ყოფნის და, საერთოდ, მისი ბოლოდროინდელი უთამაშებლობის მიზეზმა.

— ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მე და აჩიკო არველაძე 16-კაციან განაცხადში არ შეგვიყვანა. უქმად ხომ არ გავჩერდებოდით, წამოსვლა და აქ ვარჯიში ვამჯობინეთ.

**— მართალია, ჯამარაულს მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდაო?**

— კონფლიქტი არ მომხდარა, ეს ერთმა იქაურმა გაზეთმა დამაბრალა — ჯამარაულმა თქვა, მწვრთნელთან პრობლემები შემექმნაო. გაოცებული დავრჩი — ასეთი რამ არავისთვის მითქვამს. შოთამ, რომელმაც კარგად იცის თურქული, იმ ჟურნალისტს ჰკითხა, რა ენაზე ესაუბრე ჯამარაულსო. გამკვირვებია იქაური ჟურნალისტების — თავიანთ ნაფიქრალს ისე დაგაბრალებენ, ვითომც არაფერი. შეიძლება ამის ბრალიცაა, მწვრთნელმა რომ ამითვალწუნა.

**— ესე იგი, რომ არ გათამაშებენ, იმ ჟურნალისტის „დამსახურებაა"?**

— მარტო ერთ გაზეთს რომ დაეწერა, კიდევ არაფერი. სხვებმაც მოჭორეს ჩემი და მწვრთნელის კონფლიქტის ამბავი და ეს ჩემს ნათქვამად გაასაღეს. რატომ მოიქცნენ ასე, ვერ გეტყვი.

**— იქნებ, მართლაც ეს არის მიზეზი?**

— არ ვიცი. ძველი მწვრთნელი ხშირად მათამაშებდა, პრობლემები ახლის მოსვლის შემდეგ გამიჩნდა. ჯერ ვფიქრობდი, უცხოელთა ლიმიტის გამო არ მათამაშებს-მეთქი, მაგრამ „ქოჯაელისფორთან" მე და აჩიკო განაცხადში რომ არ შეგვიყვანა, მივხვდი, მიზეზი სხვა იყო. სულ მიღიმის, თამაშით კი არ მათამაშებს. შეიძლება, მის ტაქტიკას ვერ ვერგები.

**— ისე, როგორი მწვრთნელია, ძველს თუ სჯობს?**

— შენოლ გიუნეშთან სულ ერთი თვე ვიმუშავე და ცუდი არაფერი შემინიშნავს, ნორმალური მწვრთნელი იყო. ახალი უფრო რბილი კაცია. მოთამაშეებთან ახლო ურთიერთობის დამყარებას და გუნდში ნორმალური ვითარების შექმნას ცდილობს. შედეგის მიღწევასაც ამით აპირებს. შენოლი უფრო მკაცრი და გაცილებით მომთხოვნი იყო.

**— შენი გადასვლა „ტრაბზონის" კრიზისს დაემთხვა. ამ დროს კი ლეგიონერებზე ტყდება ჯოხი...**

— თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბოლოს აირია საქმე. როგორც ჩანს, პრეზიდენტს შენოლის მოხსნა გუნდში მისი მოსვლის დღიდან სურდა და როგორც კი საბაბი მიეცა — „ბეშიქთაშთან" 0:3 მარცხს ვგულისხმობ — განზრახული აასრულა კიდეც.

**— დიდხანს მწიფდებოდა ეს კონფლიქტი?**

— როგორც ჩანს, ასე იყო, თორემ ახალი მწვრთნელი უფრო იმსახურებდა მოხსნას — „ბურსასფორთან" სტუმრად და „ისტანბულსფორთან" შინ წავაგეთ. შენოლის გაშვებას არავინ მოელოდა. საერთოდ, ასეა — მწვრთნელს გუნდში სიახლეები მოაქვს. ჰოდა, ამ ცვლილებებს მე შევეწირე, არ მათამაშებს და ჰგონია, რომ ამით საქმეს აკეთებს.

**— მცირე ხნით რუსეთშიც თამაშობდი და იქაური და თურქული ფეხბურთის დონის შედარებაც არ გაგიჭირდება...**

— ორივე ქვეყანაში ლიდერთა 5-6 გუნდიანი ჯგუფია და ამათ დანარჩენ გუნდებზე უკეთესი პირობები აქვთ. მათი დონე და პირობები თითქმის თანაბარია. განსხვავება ის არის, რომ თურქეთში ბევრი მოწვეული მოთამაშეა — მარტო ჰაჯის, ამოკაშისა და კოსტადინოვის დასახელება იკმარებს. პირობებში მხოლოდ ანაზღაურებას არ ვგულისხმობ. პირობებს არც „ტრაბზონის" ფეხბურთელები ვუჩივით: ყოველ ვარჯიშზე ახალ, გარეცხილ ფორმას გვახვედრებენ, მშვენიერ მოედანზე ვვარჯიშობთ, დარბაზში, ტრენაჟორებზე ვარჯიშსაც არავინ გვიშლის. საუნასა და აუზზე აღარაფერს ვამბობ... მოკლედ, ყველაფერი რიგზე აქვთ. რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს მოედნის მიღმა პირობები. შინ მისულს უშუქობა რომ არ შეგაწუხებს, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრებ, აბა, რა იქნება — ფეხბურთის გარდა საზრუნავი რომ არ გექნება, ძალაუნებურად კლასსაც აიმაღლებ.

ამ ორი ქვეყნის ფეხბურთს შორის განსხვავების მიზეზი, ალბათ, ლიდერებში არ უნდა მოვიძიოთ. თურქულ არალიდერ გუნდებს რუსეთისაზე უკეთესი პირობები აქვთ და ამიტომაც ვფიქრობ, იქაური ჩემპიონატი რუსეთისაზე ოდნავ უკეთესია.

**— „ალანიასა" და „ტრაბზონს" შორის რომელს მიანიჭებდი უპირატესობას?**

— გაზაევი ძალიან მომთხოვნი და ობიექტური მწვრთნელია. კონკრეტულ მატჩში მხოლოდ მას ათამაშებს, ვინც უკეთეს ფორმაშია. „ტრაბზონში" კი სულ სხვა სიტუაციაა და ეს თავად გუნდისთვის არის ცუდი. ამიტომ, გაზაევი, ჩემი აზრით, ილმაზზე უკეთესი მწვრთნელია. გაოცებული ვარ ილმაზის ჩემდამი დამოკიდებულებით — შესაძლოა, მას ჩემს ნაცვლად სხვა მოთამაშის ყიდვა სურს — 16 კაცში რომ არ ამიყვანს, სხვას ვერაფერს იფიქრებ. აბა, რას უნდა ნიშნავდეს მისი საქციელი — კაცი იყიდო და სათადარიგოებშიც არ ჩარიცხო? თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები მენეჯერი ვიქირავო და ახალი კლუბი მოვძებნო — ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სკამზე.

**— თუ არ ვცდები, ერთადერთი მწვრთნელი, ვინც ბოლომდე გენდო, ყოფიანია. ალბათ ამიტომაც იყო, შარშან „დინამოში" საუკეთესო სეზონი რომ ჩაატარე. როგორც ჩანს, არც გაზაევი გენდობოდა და არც „ტრაბზონის" მწვრთნელი. ამის გამო ხომ არ არის, თავს რომ ვერ ავლენ? ნდობის ფაქტორი მაინც ბევრს ნიშნავს...**

— გამორიცხულია, უგულოდ ან ნახევარი ძალით ვივარჯიშო მხოლოდ იმიტომ, რომ მწვრთნელი არ მენდობა. ეს უკვე ფეხბურთელის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თანაც ლეგიონერი ვარ და ორჯერ უკეთ უნდა მოვემზადო, ვიდრე ჩემი თურქი კონკურენტი. მაგრამ ვინ მიფასებს გარჯას — თავიც რომ მოვიკლა, მაინც თავისიანს ამჯობინებენ. ჩემს ადგილას ვეტერანი ჰამი თამაშობს, რომელსაც გუნდში დიდი ავტორიტეტი აქვს. ერთი წელი ასე ვერ გავძლებ, უქმად ყოფნა ბევრს დამაკლებს. მაისიდან მენეჯერს შევუთანხმდები და ახალ გუნდს მოვძებნი.

**— ნუთუ არ შეიძლება, ასეთ შემთხვევაში „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაინც რომ დაეხმარო?**

— საამისოდ უმცირესი შანსიც არ არის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თურქები ჩემში მცირე თანხას არ მოითხოვენ. მათაც არ აძლევთ ხელს, ნაყიდ ფეხბურთელში ფული იხადონ და იგი სათადარიგოებშიც არ ხვდებოდეს. ისე, არც ჩემს გაყიდვაზე იტყვიან უარს, თუ საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ გუნდს ვერ მოვერგე. მაგრამ მე მჯერა ჩემი თავის და ვიცი, რაც შემიძლია. რა თქმა უნდა, საწყენია მწვრთნელის უნდობლობა, მაგრამ ყურები არ ჩამომიყრია — უნდა ვიშრომო და ჩემი დავამტკიცო.

**— „დინამოსა" და „ტრაბზონის" საწვრთნელი პროცესები დიდად განსხვავდებიან?**

— დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, უბრალოდ, იქ უკეთესი პირობებია. ჩვენშიც რომ ასეთი პირობები იყოს...

**— რა შეიცვლებოდა?**

— ძალიან ბევრი რამ! „დინამო" დღევანდელზე ბევრად ძლიერი იქნებოდა.

**— „ტრაბზონზე" ძლიერიც?**

— ათი თავით! მათი დარი პირობები საქართველოს გუნდებს რომ ჰქონდეთ, ევროპაში ერთ-ერთ ძლიერ ჩემპიონატს გავაჩაღებდით. გადამწყვეტი ფული და ქვეყანაში არსებული ვითარებაა. ჩვენი ფეხბურთელების საზრუნავი კი უშუქობისას ნავთის ყიდვა და სხვა ყოფითი პრობლემებია. ზოგს ნავთის ფულიც არ აქვს. ასეთ პირობებში დიდი ფეხბურთის თამაშზე ფიქრი სისულელეა.

თურქეთში ჩასულს პირველად იმას გეკითხებიან, რაიმე პრობლემა ხომ არ გაწუხებთო. ნეტავ ჩვენში როდის იქნება ასე?

წელან „დინამოს" „ტრაბზონთან" შედარება მთხოვე. ვერ გეტყვი, რომ შარშანდელ „დინამოს", თუნდაც მაშინდელი პირობებით, ჩემი ახლანდელი გუნდი სჯობს. ჩვენს ყოფას რა ვუთხარი, თორემ „ტრაბზონი" „დინამოს" როგორ უნდა შევადარო?

**— შენს მომავალზე რაღას გვეტყვი? მენეჯერს ახალი გუნდის მოძებნა უნდა ვთხოვოო. რაიმე რეალური წინადადება ხომ არ გაქვს?**

— ჯერჯერობით რეალური არაფერია, ისე კი, თურქეთშიც რომ გამოჩნდეს რაიმე ვარიანტი, უარს არ ვიტყოდი. მინდა „ტრაბზონის" პრეზიდენტსა და მწვრთნელს დავუმტკიცო, რომ ჩამოსაწერი მოთამაშე არა ვარ. თანაც უცნაური ის არის, რომ თავიდან რამდენიმე თამაში ნორმალურად ჩავატარე, ყველაფერი გამომდიოდა და მაინც მცვლიდნენ. ყველაზე გულგასახეთქი ის არის, რომ მწვრთნელი არ გეუბნება, რა ნაკლს ხედავს შენს თამაშში. მიზეზი უბრალოა — ურჩევნია, თავისიანები ათამაშოს...

**მერაბ მამულაშვილი**

## ინგლისი

### XXXII ტურის ბოლო მატჩი

### არსენალი 1:2 ლივერპული

**არსენალი: სიმენი, დიქსონი (გერდი 68), უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, პლატი, რაიტი, კიოუნი, ბერხკამპი, მარშალი (პარლორ 68), ჰიუზი (მორუ 73)**
**ლივერპული: ჯეიმსი, კჯარმე, მაკატირი, რაიტი, რედნეპი, ჰარკნესი, ბიორნებიუ, მაკმანამანი, კოლიმორი, ფაულერი (თომასი 81), ბარნსი**
**გოლი: კოლიმორი (50), მაკატირი (65), რაიტი (78)**

სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, თამაშის დამთავრებამდე 25 წუთი რჩებოდა. მარკ რაიტმა მეტოქის საჯარიმოში რობი ფაულერს გრძელი პასი მიაწოდა. „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდი ბურთს შეჰყვა. მეკარე დევიდ სიმენი ხელის შესაშლელად გამოვიდა. ფაულერმა მისი ჩამოტოვება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და ჩაწოლილ გოლკიპერს გადაევლო. თავდამსხმელი უმალ ფეხზე წამოიჭრა და... მსაჯს ანიშნა, მეტოქეს წესი არ დაურღვევია, პენალტი არ დანიშნოო, მაგრამ გერალდ ეშბის უკვე ჩასტვენილი ჰქონდა და ხელგაშვერილი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიექანებოდა. არბიტრმა პენალტი დანიშნა, თუმცა სიმენს წითელი ბარათი არ აკადრა. დარტყმა თავად ფაულერმა იკისრა. სიმენმა მოიგერია, მაგრამ ჯეისონ მაკატირმა ყველას დაასწრო და ბურთი ლონდონელთა კარში შეაგდო. მაკატირმა ამ გოლისთვის არსენალელთა ერთხმა წყევლა-კრულვა მიიღო, სამაგიეროდ, „ლივერპული" ლიდერს, „მანჩესტერ იუნაიტედს" სამი ქულით მიაწია. აი, ასეთი გახლდათ ეპიზოდი, რომელმაც საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია და საკუთრივ შეხვედრის მნიშვნელობა დაჩრდილა.

# ამბავი ფაულერისა და სულელი მსაჯისა

მაგრამ უშუალო მონაწილეთა ცოცხალი ნაამბობი უფრო საინტერესოა. თავად ფაულერმა მატჩის შემდეგ საკუთარ საქციელზე საუბარი ურიგო საქმედ მიიჩნია. სხვებმა კი...

დევიდ სიმენი: — მე მას არ შევხებივარ და ეს რობიმაც დაადასტურა. როდესაც მსაჯმა პენალტი დანიშნა, ვუთხარი, მიდი, რობის ჰკითხე, იყო თუ არა მეთქი. მას გაგონებაც კი არ სურდა. ერთადერთი, რაც დამრჩენია, სიმართლის თქმაა. ამასვე აკეთებს ფაულერი. მისი პირველი რეაქცია ის გახლდათ, რომ არბიტრთან მივიდა და აცნობა, არ შემხებიაო. ამ დროს იმის იმედადლა ვიყავი, რომ მსაჯიც დიდი პიროვნება აღმოჩნდებოდა და გადაწყვეტილებას შეცვლიდა. ძნელი გახლდათ ასე მოქცევა, მაგრამ ვალდებული იყო. თავის მხრივ რობი მეტს ვერაფერს გააკეთებდა. ახლა ეშბი ამბობს, რომ ფაულერის ნათქვამი არ გაუგია. ვერაფერს ვიტყვი. მე მაშინ ვუთხარი, ხომ იცი, ის კაცი არა ვარ, წესის დარღვევა რომ ვიუარო-მეთქი. მან კი ყურიც არ შეიბერტყა და თამაშის შემდეგ თავის გასახდელში განმარტოვდა.

„არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი: — რაც მოხდა, დაუჯერებელია ორი მიზეზის გამო. პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ რობი ფაულერმა განაცხადა, პენალტი არ იყოო. ეს მას დიდ პიროვნებად წარმოაჩენს. მეორე კი ისაა, რომ არბიტრმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. ყველამ იცოდა, რომ წესი არ დარღვეულა, არადა მცდარმა გადაწყვეტილებამ ჩემპიონობის შანსი დაგვაკარგვინა. ჩემს კარიერაში ასეთი რამ არ მინახავს. გასახდელში ყველანი მოტყუებულად ვგრძნობდით თავს. ჩემზე რომ იყოს, ფაულერს ფეარ-პლეის ჯილდოს გადავცემდი, მსაჯს კი სულელისას.

„ლივერპულის" მწვრთნელი როი ევანსი: — მე რობისთან ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ვფიქრობ, ის ცდილობდა მსაჯისთვის დევიდის გაძევება გადაეფიქრებინა. რობი ყალბად წამქცევი კაცი არაა. ასე რომ იყოს, ბოლო სეზონებში გაცილებით მეტ პენალტს დავარტყამდით.

სასეირო კი ის გახლავთ, რომ ფაულერმა საგმირო საქმე სწორედ იმ დღეს ჩაიდინა, უეფა მის გაკიცხვას რომ აპირებდა: თასების თასის მეოთხედფინალში „ბრანთან" მატჩის დროს ფეხბურთელმა უეფას წესი დაარღვია — გოლის გატანის შემდეგ მაისური თავზე წამოიძრო, შიგნითა მაისურზე კი ლივერპულელი დოკერების მხარდამჭერი პოლიტიკური ლოზუნგი ჰქონდა დაწერილი.

„ჰაიბრის" დავუბრუნდეთ. ანგარიში მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე გაიხსნა: ჯონ ბარნსმა ბურთი სტივ ჰარკნესს გადასცა, მან მაკმანამანს. შემდეგ სტივ ბიორნებიუ ჩაერთო საქმეში, რომელმაც 23 მეტრიდან დაარტყა. სიმენმა მოგერიება კი მოახერხა, მაგრამ ბურთი კოლიმორს მიუგორდა — ექვსი-მეტრიდან კარში შეგდება პრობლემა არ იყო.



არსენალი — ლივერპული. ლონდონელი ბერხკამპი კჯარმეს გაურბის

თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე მასპინძლებმაც შეაგდეს. გერდმა და ბერხკამპმა რაიტი გაიყვანეს საგოლე პოზიციაზე. ნაკრების წევრმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.

### გამოტოვებული მატჩი

### მიდლსბრო 1:1 ნოტინგემი

**მიდლსბრო: შვარცერი, კოქსი, პირსონი, ემერსონი, ბეკი, ჟუნინიო, ბერი, ფლემინგი, ბლექმორი, ფესტა, პონტი**
**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, ჯემისი, სონდერსი (როი 66), უოენი (ბერი 89), ვან ჰუიდონკი, ჰაალანდი (ონილი 66)**
**გოლი: ჰაალანდი (4), ბეკი (56)**

„ნოტინგემი" ალფ-ინგე ჰაალანდის გოლით ლამის ერთი საათის მანძილზე იყო წინ. სტუმრები ყველა ღონეს ხმარობდნენ ფორმაში შესული „მიდლსბროს" შეტევების შესაჩერებლად, მაგრამ 56-ე წუთზე მიკელ ბეკის გოლი გაუშვეს. მოგვიანებით მათ მაინც შეეძლოთ მასპინძლებისთვის სამი ქულა გამოეგლიჯათ, როდესაც შეცვლაზე შესულმა ბრაიან როიმ მარჯვენა ფეხით ვან ჰუიდონკის პასი გოლად ვერ აქცია.

სიტყვა წარმოთქვა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა გორდონ ტეილორმაც:

„მე ვისურვებდი, რომ ყველა ახალგაზრდამ, ვინც ფეხბურთელობას აპირებს, შეხედოს ფაულერს და მისი საქციელი მაგალითად დაისახოს. „ჰაიბრიზე" მის მიერ გამოვლენილი სპორტული სული ფეხბურთის უდიდესი სიახლე გახლდათ. ყველაზე ცინიკური მსოფლმხედველობით, თუ დაუმსახურებელ თერთმეტმეტრიანს შენი კლუბის ხაზინაში მილიონები შეაქვს, მისი მოპოვება გამართლებულია. და მაინც, ფეხბურთი დიდ ბიზნესთან ერთად ჯერ კიდევ სპორტია, ამდენად მოთამაშისგან, მითუფრო ახალგაზრდისგან, ამგვარი ჟესტის ხილვა ამაღელვებელია".

ოფიციალური განცხადებები კარგია, ფაულერის საქციელს პირველი ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი გამოეხმაურა. მან ფეხბურთელს მიმართვა გაუგზავნა:

„მსურს მოგილოცოთ სპორტული სულისკვეთების გამოვლენა. პენალტისას თქვენმა საჯარო რეაქციამ უდიდესი პატივი მოგაგოთ. თქვენი ჟესტი ფეხბურთის შეურყვნელობას განაპირობებს. დღეს, როდესაც სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლაა წამოწყებული და ფიფა ფეხბურთელებს (მეტადრე პროფესიონალებს) მსაჯების დასახმარებლად მოუწოდებს, თქვენი ქცევა ასეთ დაძაბულ შეხვედრაში, ახალგაზრდობისთვისაც და კოლეგებისთვისაც სამაგალითო იქნება."

## საფრანგეთი

### XXXI ტური

### ლილი 0:4 მონპელიე

**0:1 ბაკაიოკო (68), 0:2 ბაკაიოკო (70), 0:3 ბაკაიოკო (74), 0:4 სოზე (81)**

### ბორდო 0:0 ნანტი

ხუთი თვის წინ „ნანტმა" „ბორდო" რომ დაამარცხა, გასავარდნთა ზონას ასცდა და მეთექვსმეტე ადგილზე გადაინაცვლა. ჟან-კლოდ სიუდოსა და მის გუნდს მაშინ წაუგებელ მატჩთა სერია ახალი დაწყებული ჰქონდათ — ის თამაში მეექვსე იყო. ახლა კი „კანარის ჩიტები" ბორდოში, ატლანტიკის სანაპიროს დერბიზე, 23 წაუგებელი შეხვედრით ჩავიდნენ. მაშინ, ხუთი თვის წინ, „ბორდო" „ნანტზე" რვა ადგილით ზევით იყო, ახლა — ერთით ქვევით.

— ეს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა, რომელიც მეტოქეს შეტევას აიძულებს — თქვა თამაშის წინ ნანტელთა ნახევარმცველმა ბრუნო კაროტმა.

მასპინძელთა მწვრთნელი რონალდ კური კი აცხადებდა, ამ თამაშს თავს არ შევაკლავთ, უფრო მნიშვნელოვანი უქმეებზე გველისო. იგი „მონპელიესთან" საფრანგეთის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრას გულისხმობდა. აღსანიშნავია, რომ „ბორდო" ლიგის თასის ფინალშიცაა გასული. ასე რომ, სათასო დუბლზე ფიქრობს.

ჟან-კლოდ სიუდოს თამაშის წინ ისიც აიმედებდა, რომ „ნანტმა" ჩემპიონატის ბოლო ხუთი სტუმრობა გამარჯვებით დაასრულა.

— ბოლო რამდენიმე კვირამ დამანახა, რომ ჩვენი გუნდის პოტენციალი იზრდება. ვგონებ, მოთამაშეებს ეს სრულიად გაცნობიერებული არც კი აქვთ — ამბობდა იგი.

ატლანტიკური დერბი 0:0 დამთავრდა. მართალია, ბორდოელებს სამი საუცხოო მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ყველაზე ეფექტური იოჰან მიკუს 35 მეტრიდან დარტყმული გახლდათ, რომელიც „ნანტის" გოლკიპერმა მიშელ ლანდრომ ბრწყინვალედ მოიგერია.

„ნანტს" ლანდროს მეკარეობისას ჯერ თამაში არ წაუგია. ამ მეკარემ დაუმარცხებელი, აწ უკვე 24 შეხვედრიდან 22-ში მიიღო მონაწილეობა, დებიუტი კი 2 ოქტომბერს „ბასტიასთან" ჰქონდა.

ტურის მეორე შეხვედრაში თავი სპილოს ძვლის ნაპირელმა იბრაჰიმ ბაკაიოკომ გამოიჩინა. ექვს წუთში ჰეთ-თრიკი — მართლაც შთამბეჭდავი შედეგია. „მონპელიესაც" კარგა ხანი, ათი შეხვედრაა, არ წაუგია. „ლილთან" მან სამი კვირის წინ, საფრანგეთის თასზეც ითამაშა და 3:0 მოუგო. არც ახლანდელ შეხვედრაში დაუზოგავს ძალა, თუმცა მეორე ტაიმის 23-ე წუთამდე მიზანს ვერ მიაღწია. მერე კი დაიწყო...

**ტურის დანარჩენი მატჩები ნუხელ გაიმართა.**

## ავსტრია

**23-ე ტური: ზალცბურგი — ტიროლი 2:1, რიედი — რაპიდი 3:0, აუსტრია — ლინცი 2:0, ლინცერი — შტურმი 0:0, კაზინო — ადმირა ვაკერი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 23 | 13 | 8 | 2 | 32:10 | 47 |
| რაპიდი | 23 | 12 | 8 | 3 | 45:21 | 44 |
| ტიროლი | 23 | 10 | 6 | 7 | 34:26 | 36 |
| ლინცერი | 23 | 7 | 11 | 5 | 23:21 | 32 |
| აუსტრია | 23 | 9 | 3 | 11 | 27:38 | 30 |
| შტურმი | 23 | 6 | 10 | 7 | 25:22 | 28 |
| კაზინო | 23 | 5 | 10 | 8 | 23:30 | 25 |
| რიედი | 23 | 7 | 3 | 13 | 28:41 | 24 |
| ადმირა ვაკერი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:36 | 23 |
| ლინცი | 23 | 4 | 7 | 12 | 12:28 | 19 |

## ესპანეთი

**30-ე ტურის ბოლო მატჩი. სპორტინგი — ვალენსია 2:1**

მასპინძლებმა გოლები 42-ე და 49-ე წუთებზე გაიტანეს, სტუმართაგან კი 85-ეზე გორან ვლაოვიჩმა შეაგდო. ხორვატის გოლამდე სამი წუთით ადრე „ვალენსიას" რუსი ლეგიონერი ვალერი კარპინი გაუძევეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 30 | 21 | 8 | 1 | 65:24 | 71 |
| ბარსელონა | 30 | 19 | 5 | 6 | 75:37 | 62 |
| ბეტისი | 30 | 18 | 8 | 4 | 68:32 | 62 |
| დეპორტივო | 30 | 16 | 11 | 3 | 46:21 | 59 |
| ატლეტიკო | 29 | 15 | 7 | 7 | 56:39 | 52 |
| სოსიედადი | 30 | 13 | 7 | 10 | 37:33 | 46 |
| ბილბაო | 30 | 10 | 14 | 6 | 53:43 | 44 |
| ვალიადოლიდი | 30 | 12 | 8 | 10 | 38:34 | 44 |
| ტენერიფე | 29 | 12 | 7 | 10 | 50:33 | 43 |
| ვალენსია | 30 | 12 | 6 | 12 | 45:40 | 42 |
| რასინგი | 30 | 10 | 11 | 9 | 34:32 | 41 |
| სელტა | 30 | 8 | 11 | 11 | 34:38 | 35 |
| სპორტინგი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:46 | 35 |
| ოვიედო | 30 | 9 | 8 | 13 | 30:47 | 35 |
| კომპოსტელა | 30 | 8 | 9 | 13 | 31:52 | 33 |
| სარაგოსა | 30 | 7 | 11 | 12 | 38:49 | 32 |
| ესტრემადურა | 30 | 8 | 8 | 14 | 25:43 | 32 |
| ესპანიოლი | 30 | 8 | 6 | 16 | 33:46 | 30 |
| რაიო | 30 | 8 | 6 | 16 | 29:45 | 30 |
| ლოგრონიესი | 30 | 8 | 4 | 18 | 25:58 | 28 |
| სევილია | 30 | 7 | 3 | 20 | 27:54 | 24 |
| ერკულესი | 30 | 6 | 4 | 20 | 25:57 | 22 |

**შესწორება. ესპანიოლმა და ატლეტიკომ ამ ტურის მატჩები მეტოქეთა მოედანზე მოიგეს და არა შინ, როგორც წინა ნომერში გვეწერა.**

### მეორე დივიზიონი

**28-ე ტური. ოსასუნა — ეხიხა 3:0, ბარსელონა B — ლას პალმასი 1:2, სალამანკა — ორენსე 1:1, ვილიარეალი — ალბასეტე 1:0, ატლეტიკო B — მერიდა 3:1, ბადახოსი — ლეგანესი 1:0, მალიორკა — ალმერია 3:2, ალავესი — ტოლედო 1:0, ლევანტე — ლერიდა 0:0, ეიბარი — რეალი B 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალიორკა | 28 | 16 | 7 | 5 | 45:26 | 55 |
| მერიდა | 28 | 15 | 7 | 6 | 41:24 | 52 |
| ეიბარი | 28 | 12 | 12 | 4 | 34:20 | 48 |
| სალამანკა | 28 | 13 | 8 | 7 | 47:27 | 47 |
| ალბასეტე | 28 | 13 | 8 | 7 | 38:26 | 47 |
| ბადახოსი | 28 | 11 | 13 | 4 | 26:16 | 46 |
| ლევანტე | 28 | 10 | 9 | 9 | 41:33 | 39 |
| ლეგანესი | 28 | 9 | 11 | 8 | 33:29 | 38 |
| ატლეტიკო B | 28 | 10 | 8 | 10 | 42:41 | 38 |
| ლას პალმასი | 28 | 10 | 8 | 10 | 36:36 | 38 |
| ალავესი | 28 | 9 | 9 | 10 | 33:32 | 36 |
| ვილიარეალი | 28 | 10 | 6 | 12 | 29:36 | 36 |
| ორენსე | 28 | 8 | 10 | 10 | 24:33 | 34 |
| ტოლედო | 28 | 8 | 9 | 11 | 29:36 | 33 |
| ლერიდა | 28 | 7 | 10 | 11 | 29:32 | 31 |
| ოსასუნა | 28 | 7 | 9 | 12 | 29:32 | 30 |
| ალმერია | 28 | 5 | 13 | 10 | 28:38 | 28 |
| ბარსელონა B | 28 | 6 | 9 | 13 | 32:45 | 27 |
| რეალი B | 28 | 7 | 6 | 15 | 30:56 | 27 |
| ეხიხა | 28 | 5 | 6 | 17 | 18:46 | 21 |

### სამეფო თასი

### ნახევარფინალის პირველი მატჩი

### ბეტისი 1:0 სელტა

**1:0 ბელიცა (91)**

სევილიელებმა ერთადერთხელ შეარხიეს ერთიანად დაცვაში მდგომ სტუმართა კარის ბადე. ბელიცამ გამოიყენა თანაგუნდელის ბრწყინვალე პასი და მიწაზე დაუშვებლად, საუცხოო გოლით დააგვირგვინა ულამაზესი კომბინაცია. მეტოქეთა განმეორებითი შეხვედრა მომავალ კვირას გაიმართება.

## საბერძნეთი

**26-ე ტური. არისი — ოლიმპიაკოსი 0:0, ედესაიკოსი — აეკი 0:2, პანათინაიკოსი — ვერია 1:0, ოფი — კალამატა 2:0, იონიკოსი — პაოკი 2:1, კავალა — ათინაიკოსი 1:1, ირაკლისი — პანილიაკოსი 3:0, ქსანთი — პანახაიკი 4:3, კასტორია — აპოლონი 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 19 | 5 | 2 | 46:10 | 62 |
| აეკი | 26 | 18 | 4 | 4 | 61:21 | 58 |
| პანათინაიკოსი | 26 | 17 | 3 | 6 | 45:16 | 54 |
| ოფი | 26 | 16 | 4 | 6 | 39:20 | 52 |
| პაოკი | 26 | 12 | 8 | 6 | 33:25 | 44 |
| კავალა | 26 | 13 | 5 | 8 | 32:24 | 44 |
| პანილიაკოსი | 26 | 11 | 5 | 10 | 34:34 | 38 |
| იონიკოსი | 26 | 10 | 6 | 10 | 30:31 | 36 |
| ვერია | 26 | 9 | 7 | 10 | 25:21 | 34 |
| ირაკლისი | 26 | 9 | 5 | 12 | 34:40 | 32 |
| ქსანთი | 26 | 7 | 8 | 11 | 38:42 | 29 |
| აპოლონი | 26 | 8 | 5 | 13 | 27:35 | 29 |
| პანახაიკი | 26 | 7 | 8 | 11 | 24:33 | 29 |
| კალამატა | 26 | 7 | 8 | 11 | 29:45 | 29 |
| ათინაიკოსი | 26 | 6 | 6 | 14 | 24:49 | 24 |
| ედესაიკოსი | 26 | 6 | 5 | 15 | 27:43 | 23 |
| არისი | 26 | 5 | 10 | 11 | 20:35 | 22 |
| კასტორია | 26 | 1 | 4 | 21 | 11:53 | 7 |

## რუსეთი

# რუსეთის [illegible]

ჯერ მარტი არ მიწურულა, რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა" კი ცესკა — „ალანიას" მატჩი თვის შეხვედრად მონათლა. ამ თამაშის ნახვა, იმედია, ბევრმა შეძლო და თამაშის შინაარსობრივ მხარეს აღარ შევეხებით. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ამ შეხვედრაში 5 ქართველი მონაწილეობდა, მსაჯმა ოთხჯერ იძრო ყვითელი ბარათი და ოთხჯერვე ქართველთა მისამართით. აქედან ორჯერ ლობჟანიძეს აუფრიალა გამაფრთხილებელი ფერი, რასაც, ბუნებრივია, გაძევებაც მოჰყვა. დანარჩენ შემთხვევებში კი ცხადაძე და კობიაშვილი გააფრთხილა. მიუხედავად იმისა, რომ ლობჟანიძე ცესკას 54-ე წუთზე გამოაკლდა, მოსკოველებმა მაინც სძლიეს „ალანია", თავად ნუგზარმა მსაჯის გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „ზოგადად ვეთანხმები იმ აზრს, რომ წესი ისეთ დროს დავარღვიე, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობდა, თუმცა ჩემი ჯარიმა მთლად გაუმართლებელიც არ ყოფილა, რადგან ალანიელი თავისუფალ ზონაში გადიოდა და რა მოჰყვებოდა ამას, არავინ იცის. პირველ შემთხვევაში კი ყვითელ ბარათს არ ვიმსახურებდი". სხვათაშორის, ეს ალანიელიც ქართველი, გოგა გახოკიძე გახლდათ...

სტუმრად ითამაშა ორი ქართველის ამარად დარჩენილმა „ჟემჩუჟინამაც", რომელმაც სპანდერაშვილისა და ბერაძის „ჩერნომორეცთან" ფრეს მიაღწია. მაგრამ გოგრიჭიანს და გოგიაშვილს, გოლის გატანას ვინ ჩივის, მწვავე თამაშიც ვერ გამოუჩენიათ თავი. ნოვოროსიისკელებში ბერაძეს არ უთამაშია, სპანდერაშვილმა რამდენჯერმე ოსტატურად კი შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ვერ იხეირა.

გასვლაზე უკეთ კი, ნეიტრალურ მინდორზე, ფრედ ითამაშა ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმაც", მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლები წილი დაიდო ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც მხოლოდ ბოლო სამ წუთს დაჰყო მოედანზე.

სამარის „კრილია სოვეტოვმა", რომელშიც სამი ქართველი გამოდის, მინიმალური ანგარიშით მოიგო და „სპარტაკთან" ერთად ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს, თუმცა, „ფაკელთან" ამ გამარჯვებაში მოედანზე მყოფ მამუკა მინაშვილს მნიშვნელოვანი წილი არ დაუდევს.

გათამაშების ცხრილის ფსკერზეა მიხეილ ჯიშკარიანის „კამაზი", რომელმაც რუსეთის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა: ორივე სასტარტო მატჩი 0:5 წააგო.

აქვე გთავაზობთ რუსეთში გადახვეწილ ქართველთა მიერ ამ ჩემპიონატამდე ჩატარებული თამაშებისა და გატანილი გოლების ნუსხას

### ალანია

მცველები

მურთაზ შელია — 49 — 9
კახაბერ ცხადაძე — 12 — 0

ნახევარმცველები

ლევან კობიაშვილი — 0 — 0
გიორგი გახოკიძე — 0 — 0

### ცსკა

მცველი

ნუგზარ ლობჟანიძე — 0 — 0

### ლოკომოტივი

თავდამსხმელი

ზაზა ჯანაშია — 27 — 4

### კრილია სოვეტოვი

მცველი

ზურაბ ფოფხაძე — 0 — 0

ნახევარმცველი

გელა ინალიშვილი — 0 — 0

თავდამსხმელები

მამუკა მინაშვილი — 47 — 6

### ჩერნომორეცი

მცველი

ბესიკ ბერაძე — 23 — 0

ნახევარმცველი

ბადრი სპანდერაშვილი — 73 — 8

### კამაზი

თავდამსხმელი

მიხეილ ჯიშკარიანი — 34 — 8

### ჟემჩუჟინა

მცველი

დიმიტრი კუდინოვი — 0 — 0

ნახევარმცველი

გიორგი გოგიაშვილი — 16 — 0

თავდამსხმელი

გოჩა გოგრიჭიანი — 35 — 19

## ფეხბურთის რუკასთან



ისლანდიელი ფორვარდი ბიარნი გუდიონსონი შესაძლოა ინგლისის „ნიუკასლში" გადავიდეს. 18 წლის თავდამსხმელი მისმა კლუბმა „აკრანესმა" ნახევარ მილიონ გირვანქად შეაფასა, რასაც დალგლიში დაჰყაბულდა. თუ ტრანსფერი შედგა, გუდიონსონი პირველი იქნება, ვინც კლუბის სათავეში მოსვლის დღიდან დალგლიშმა შეიძინა.

ინგლისელმა როი ჰოჯსონმა, რომელიც მომავალ სეზონში მილანის „ინტერიდან" პრემიერლიგის „ბლეკბერნში" გადაბარგდება, უკვე დაასახელა მათი ვინაობა, ვინც ინგლისურ კლუბში მასთან ერთად იმუშავებს. ჰოჯსონმა თანაშემწედ დაიტოვებს კლუბის ახლანდელ მთავარ მწვრთნელს ტონი პარკსს. ამის გარდა დაუძახა ბობი ჰაუტონს, მეკარეების მწვრთნელად კი წარსულში ინგლისის ნაკრების მეკარე და შემდგომ ქვეყნის პირველი გუნდის მეკარეთა მწვრთნელი მაიკ კელი მიიწვია.

საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენის" მცველმა ბრუნო ნგოტიმ ბოლო ტურში „მეცთან" მატჩში ფეხი იტკინა და მისი თამაში ევროპის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში 10 აპრილს „ლივერპულთან" სათუოა.

ბრაზილიის ნაკრების მეკარე კლაუდიო ტაფარელი კვლავ გამოიძახეს ნაკრებში. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტაფარელს პირველ გუნდში აღარ ეთამაშა, ახლა კი, 2 აპრილს მარიო ზაგალომ მას ქვეყნის დედაქალაქ ბრაზილიაში ჩილესთან სათამაშოდ უხმო. ნაკრებში გამოძახებულია რომარიოც.

აზიაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი. მეოთხე ქვეჯგუფის პირველ ტურში იაპონიამ მაკაოს 10:0 მოუგო, ომანმა კი მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა ნეპალი.

პორტუგალიელი ფორვარდი ჟორჟე კადეტე შესაძლოა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ დააჯარიმოს. „სელტიკში" მოთამაშე კადეტემ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მაყურებლებს მაისური ესროლა, ფედერაციის მოხელეებს კი არ მოეწონათ მისი საქციელი და თავდამსხმელის დასჯა განიზრახეს. თავხედ ფორვარდს ფედერაცია 18 აპრილს გამოუტანს სასჯელს.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „სვინდონის" დირექტორად დაინიშნა ინგლისის ჩემპიონი ცხენოსნობაში ვილი კერსონი. 54 წლის კერსონს 37-წლიანი კარიერის მანძილზე 4 ათასზე მეტი ჯილდო მოუპოვებია. „სვინდონის" თავმჯდომარემ მაიკ სპერმენმა თქვა, ვილის გამარჯვებები თან სდევდა და იმედია, მისი მოსვლა ჩვენც კარგად დაგვებედებაო.

საფრანგეთის ჩემპიონატის წუხანდელ მატჩს „მონაკოსა" და „ნიცას" შორის დაესწრნენ ლივერპულის „ევერტონის" წარმომადგენლები, რომლებსაც „მონაკოს" ნახევარმცველ ლორენ ვიუდოსთვის და „ნიცას" ლიბერიელ ფორვარდ ჯეიმს დებასთვის დაუდგამთ თვალი. „ევერტონის" მწვრთნელს ჯო როილს ვიუდო უეფას თასზე „ნიუკასლთან" მატჩში უნახავს და მეტად მოსწონებია.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბმა „პორტსმუთმა" რამდენიმე ვაიგულშემატკივარი დააჯარიმა. ჩემპიონატის ბოლო ტურში კლუბი სტუმრად თამაშობდა „ქუინზ პარკთან". „პორტსმუთის" ქომაგებმა საჩხუბრად მატჩის დროსვე მოიცალეს და თამაში დროებით შეწყდა. შეხვედრის შემდეგ კი სტუმრებმა მასპინძელთა რამდენიმე ფანი დაჭრეს. პოლიციამ დამნაშავეები დიდხანს არ აბოგინა: ყველა ბრალდებული სასამართლოს წინაშე წარსდგება.

შოტლანდიელი კოლინ ჰენდრი მზადაა ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ. თავიდან სათუო იყო ბლეკბერნელის თამაში, რადგან ერთ-ერთ ბოლო ტურში დაშავდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ფეხბურთელს ტრავმა ოდნავ დაუცხრა და ჰენდრიმაც უმალ ნაკრებს მიაშურა.

ჰოლანდიის „ფეიენოორდი" შესაძლოა სპონსორმა — დიდმა სადაზღვევო კომპანიამ მიატოვოს. მიზეზი კი ისაა, რომ ამასწინათ „აიაქსისა" და „ფეიენოორდის" გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ, რამაც ერთი კაცის სიცოცხლე შეიწირა. ამ ჩხუბში კიდევ ათეულობით ადამიანი დაიჭრა. პოლიციამ 28 ჩხუბისთავი დააკავა, რომელთაც დანები და სხვა ცივი იარაღი ჩამოართვა. ჩხუბის შემდეგ მოედანი ნაომარს დაემსგავსა. წესრიგის დამცველებმა ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც მოჩხუბრებს ბრძოლის ველზე დარჩათ. მოკლედ, ასეთი სახელგატეხილი გულშემატკივრების პატრონი კლუბის სპონსორობა შესაძლოა ანტირეკლამადაც კი იქცეს.

ინგლისის პრემიერლიგის კლუბებს საფრთხე ემუქრებათ: ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციასთან არსებული ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარემ გორდონ ტეილორმა განაცხადა, შესაძლოა პრემიერლიგაში ბოსმანის წესი არაევროკავშირელ მოთამაშეებზეც გავავრცელოთო. თუ ასე მოხდა, ბრაზილიელ ჟუნინიოში, კოლუმბიელ ასპრილიაში, განელ იებოაში და სხვა მოთამაშეებში მათი კლუბები ფეხბურთელებთან კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ვერაფერს მიიღებენ.



ჟორდი კრუიფი

ჰოლანდიელი ჟორდი კრუიფი სულაც არ აპირებს მანჩესტერიდან წასვლას. რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა ცნობა, კრუიფი კლუბს ტოვებსო, მაგრამ თავად ფეხბურთელმა ყოველივე უარყო და მტკიცედ განაცხადა, მანჩესტერიდან ფეხის მომცვლელი არ ვარო. კრუიფმა თქვა: „მართალია, სეზონი თითქმის გამიცდა, მაგრამ მჯერა, ფორმას აღვიდგენ და კვლავ ძირითადში ვითამაშებ." ბოლოს დასძინა, 23 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვსო.

საფრანგეთში მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა რობერ ლუი-დრეიფუსმა დაიჩივლა, 35 წელია ბიზნესში ვარ და ჯერ წელიწადი რა არის, არ მიზარალია, ახლა კი ალბათ ასე იქნებაო. „ადიდასის" პრეზიდენტმა სეზონის წინ მარსელის კლუბში 26 მილიონი დოლარი დააბანდა. მომავალ სეზონში „ოლიმპიკო" ევროტურნირებზე გასვლას ისახავდა მიზნად, მაგრამ ჩემპიონატში ჯერჯერობით მე-11 ადგილზეა. დრეიფუსი კლუბს დაჰპირდა, სამომავლოდ ექვს-შვიდ მოთამაშეს ვიყიდი და ხუთეულშიც უეჭველად მოვხვდებითო.

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, აფრო-აზიის თასის გათამაშებაში წელს ალბათ მონაწილეობას ვერ მივიღებთ და ეს სამომავლოდ უნდა გადავდოთო. ამ თასს 1985 წლიდან აფრიკისა და აზიის ჩემპიონები ეცილებიან ერთმანეთს. თასი ორ წელიწადში ერთხელ თამაშდება. წინა ხუთ გათამაშებაში კამერუნმა, ალჟირმა, იაპონიამ, ნიგერიამ და სამხრეთ კორეამ იმარჯვეს. სამხრეთაფრიკელებმა აზიის ჩემპიონს — საუდის არაბეთის გუნდს შეუთვალეს, წელს ძალზე გადატვირთული კალენდარი გვაქვს და თუ თავისუფალი დრო გამოვნახეთ, უეჭველად შეგატყობინებთო.

ბრაზილიელმა სუპერფორვარდმა რონალდომ შესაძლოა სეზონის ბოლოს „ბარსელონა" დატოვოს. თავდამსხმელი ამის მიზეზად კლუბის პრეზიდენტის — ნუნიესის მიერ საკონტრაქტო პირობების უგულებელყოფას ასახელებს. როცა რონალდო „ეინდჰოვენისგან" შეისყიდეს, ფეხბურთელს წლიურ გასამრჯელოდ მილიონ 300 ათასი დოლარი აღუთქვეს. შემდეგ „ბარსელონამ" მას სხვა კონტრაქტი შესთავაზა, რომლის თანახმადაც რონალდოს ხელფასი სამნახევარ მილიონ დოლარამდე უნდა გაზრდილიყო. ფეხბურთელმა თანხმობა განაცხადა, ნუნიესმა კი შეთავაზებულ კონტრაქტზე უარი თქვა. რონალდოს დარად, „ბარსელონადან" წასვლაზე ფიქრობს მისი თანამემამულე ჯოვანიც. ბოლო თამაშებია, იგი სათადარიგოთა შორისაა, რაც, ცხადია, მას უკმაყოფილებას იწვევს. „ბარსელონა" ჯოვანის თაობაზე „სან პაულუს" შეეხმიანა, თავად ფეხბურთელმა კი თქვა, თუ რობსონს ჩემი არ სჯერა და საბოლოოდ ამომაგდო ძირითადიდან, აქ გაჩერებული აღარ ვარ და სამშობლოში დავბრუნდებიო. მოკლედ, დარჩებიან თუ არა ბრაზილიელები „ბარსელონაში", უცნობია. ამასობაში „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა უარყო ხმები მომავალი სეზონისთვის რონალდოს ან კარლსრუელი შონ დანდის შესყიდვის თაობაზე.

### თურქეთი

27-ე ტური. ფენერბაჩე — ვანსფორი 5:0, გაზიანთეფი — გალათასარაი 0:3, ხარიერი — ბურსასფორი 1:2, დენიზლი — ზეითუნბურნუ 3:2, გენჩლერბირლიგი — ანთალია 0:1, ისთანბული — ალთაი 5:0, ქოჯაელი — ტრაბზონსფორი 0:2, დარდანელი — ანკარაგიუჯუ 2:1, სამსუნი — ბეშიქთაში 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 27 | 19 | 6 | 2 | 70:23 | 63 |
| ფენერბაჩე | 27 | 18 | 6 | 3 | 57:16 | 60 |
| ბეშიქთაში | 27 | 17 | 7 | 3 | 65:19 | 58 |
| ტრაბზონი | 27 | 17 | 4 | 6 | 53:27 | 55 |
| ბურსა | 27 | 13 | 6 | 8 | 37:27 | 45 |
| ისთანბული | 27 | 12 | 6 | 9 | 41:30 | 42 |
| გაზიანთეფი | 27 | 11 | 8 | 8 | 29:31 | 41 |
| ქოჯაელი | 27 | 10 | 9 | 8 | 28:24 | 39 |
| ანთალია | 27 | 10 | 6 | 11 | 30:38 | 36 |
| სამსუნი | 27 | 9 | 8 | 10 | 35:40 | 35 |
| გენჩლერბირ. | 27 | 10 | 5 | 12 | 29:34 | 35 |
| სარიერი | 27 | 8 | 6 | 13 | 36:43 | 30 |
| ალთაი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:48 | 30 |
| ანკარაგიუჯუ | 27 | 7 | 7 | 13 | 28:40 | 28 |
| დარდანელი | 27 | 7 | 6 | 14 | 26:47 | 27 |
| ვანსფორი | 27 | 4 | 7 | 16 | 18:46 | 19 |
| დენიზლი | 27 | 5 | 3 | 19 | 31:59 | 18 |
| ზეითუნბურნუ | 27 | 2 | 5 | 20 | 22:68 | 11 |


ბავშვთა კვება



Gerber

ახალი სიცოცხლის

უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული

ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

☎ 39-47-83


# საშაბათკვიროდ

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა. აფრიკა

შაბათ-კვირას ჩვენს პლანეტას სანაკრებო ფეხბურთის მძლავრი ტალღა გადაუვლის — უქმეებზე მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები და რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გაიმართება. თამაშებამდე რამდენიმე დღით ადრე გუნდებმა ნაკრების შემადგენლობები დაასახელეს.

ალბანეთის ნაკრები ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო ორ შესარჩევ მატჩს ესპანეთში, ქალაქ გრანადაში ჩაატარებს. უკრაინელებთან და გერმანელებთან ითამაშებენ: ფოტო სტრაკოშა, რუდი ვატა, არიან ჯუმბა, არიან ბუში, ბლიდარ კოლა, ალტინ ჰაჩი, ალტინ რაკლი, ფატმირ ვატა, იგლი ტარე, სალვადორ კაჩაი, კლიტონ ბოზგო, არიან ბელაი, კელა, გიერგი დემა, ედი აბაზი, ბილალი, ფატმირ შპუზა, ფატოშ დაია, ერვინ ლესჩი და ილირ ზელა. ალბანელთა მომავალი მეტოქის — გერმანიის თავკაცმა შეკრებაზე გამოიძახა — მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი); მცველები: მარკუს ბაბელი, თომას ჰელმერი (ორივე ბაიერნი), იურგენ კოლერი, შტეფან როიტერი, მათიას ზამერი (სამივე დორტმუნდი), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი); ნახევარმცველები: მარიო ბასლერი, კრისტიან ციგე (ბაიერნი), დიტერ აილტსი (ვერდერი), იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი (ორივე დორტმუნდი), დარიუშ ვოში (ბოხუმი); თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (ბაიერნი). ფოგთსმა ვერ გამოიძახა გაგერმანელებული სამხრეთაფრიკელი შონ დანდი, რომელსაც ტრავმა აწუხებს. თუ ზამერმა და კოლერმა ნაკრებში ითამაშეს, საიუბილეო, 50-ე და 90-ე მატჩებს ჩაატარებენ.

შაბათს სპლიტში ხორვატია და დანია ითამაშებენ, ოთხ დღეში კი ხორვატები სლოვენებსაც შეერკინებიან. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ექს-იუგოსლაველებმა ვიკინგებს 3:0 მოუგეს. მასპინძელთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა დაასახელა ნაკრების 20 კაციანი შემადგენლობა: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), ტონჩი გაბრიჩი (ჰაიდუკი), მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში); მცველები — ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), სლავენ ბილიჩი (ვესტ ჰემი), ნიკოლა იერკანი (ნოტინგემი), იგორ შტიმაცი (დერბი), დარიო სიმიჩი (კროაცია), რობერტ იარნი (ბეტისი); ნახევარმცველები — ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი), მარიო სტანიჩი (პარმა), რობერტ პროსინეჩკი (სევილია), ნიკოლა იურჩევიჩი (ფრაიბურგი), ზვონიმირ ბობანი (მილანი), ალიოშა ასანოვიჩი (დერბი), ნენედ პრალია (ესპანიოლი); თავდამსხმელები — ალენ ბოკშიჩი (იუვენტუსი), დავორ შუკერი (რეალი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია), იგორ ცვიტანოვიჩი (კროაცია).

ოთხშაბათს ხორვატთაგან მიტოვებული იუგოსლავია ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჩეხეთს შეხვდება. პრაღაში სტუმრები ძირითადი მეკარის — ზვონკო მილოშევიჩის გარეშე ითამაშებენ. იგი პირადი პრობლემების გამო გამოაკლდება თავისიანებს. ნაკრების მწვრთნელმა სლობოდან სანტრიჩმა თქვა, პრაღაში მხოლოდ სამი ქულის მოსაპოვებლად მივდივართო. სანტრიჩმა სანაკრებოდ 20 კაცი შეარჩია: მეკარეები: ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოი ლეკოვიჩი (კილმარნოკი); მცველები — გორან ჯოროვიჩი (ცრვენა ზვეზდა), დეიან სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი), მიროსლავ ჯუკიჩი (დეპორტივო), რისტო ვიდაკოვიჩი (ბეტისი), ზორან მირკოვიჩი (ატალანტა), სინიშა მიხაილოვიჩი (სამპდორია); ნახევარმცველები — დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუსი), ბრანკო ბროშვიჩი (ესპანიოლი), დეიან გოვედარიცა (ვოლენდამი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ვლადიმირ იუგოვიჩი (იუვენტუსი), ალბერტ ნადი (ბეტისი), ლუბიმკო დრულოვიჩი (პორტუ), დრაგან ჩირიჩი (პარტიზანი); თავდამსხმელები — პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი), დეიან სავიჩევიჩი (მილანი), სავო მილოშევიჩი (ასტონ ვილა), ანტონ დრობნიაკი (ბასტია).

ჩინებულად დაიწყო შესარჩევი ციკლი ჰოლანდიამ. გუს ჰიდინკის ბიჭებმა ორჯერ უელსი გაანადგურეს, ერთხელაც ბრიუსელში ბელგიას გაუსწორდნენ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდში პირველადაა რიხარდ ვიჩხე, ვინაც „ფეიენოორდის" [illegible] ნახევარმცველს ჟან-პოლ ვან გასტელს შეცვლის. ჰოლანდია [illegible] შაბათს [illegible] შეხვდება. [illegible] ჰიდინკმა მიიწვია: მეკარეები — ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), ედ დე გუი (ფეიენოორდი); მცველები — ფრანკ დე ბური (აიაქსი), იააპ სტამი, სტენ ვალქსი, არტურ ნუმანი (პსვ), მიხაელ რაიციგერი (მილანი), იოჰან დე კოკი (შალკე 04); ნახევარმცველები — რონალდ დე ბური, რიხარდ ვიჩხე (ორივე აიაქსი), ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), ვიმ იონკი, ფილიპ კოკუ (პსვ), კლარენს ზეედორფი (რეალი), არონ ვინტერი (ინტერი); თავდამსხმელები — პატრიკ კლუივერტი, მარკ ოვერმარსი (აიაქსი), დენის ბერხკამპი (არსენალი), პიერ ვან ჰუიდონკი (ნოტინგემი).

ფინეთის ნაკრების დანიელმა მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა 2 აპრილს აზერბაიჯანის წინააღმდეგ სათამაშოდ შეარჩია: მეკარეები — კარი ლაუკანენი, ანტი ნიემი; მცველები — ტონი კუივასტო, იუსი ნუორელა, იან მაიკელე, სემი ჰიპიაა, იუკა კოსკინენი, კარი რისანენი; ნახევარმცველები — სემი მალიო, იაკრო ვისა, მარკო მირი, მიკა მურმელა, იონას კოლკა, იარი ლიტმანენი; თავდამსხმელები — ჯონათი იოჰანსონი, ანტი სუმიალა, მიკამატი პაატელანი, იარი ვანალა.

ახლა კი შავ კონტინენტსაც შევავლოთ თვალი: 6 აპრილს, პოინტ-ნოირში სამხრეთი აფრიკა კონგოს შეხვდება. აფრიკის ჩემპიონთა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა გუნდში პირველად უხმო მცველ გევინ ლეინს და ფორვარდ ჯორჯ კუმანტერაკისს. მწვრთნელმა დააბრუნა დოქტორ ხუმალო, ვინაც ბოლო შესარჩევი მატჩი ზამბიასთან ტრავმის გამო გამოტოვა. ბარკერის რჩეულ ცხრამეტ კაცში მოხვდნენ: მეკარეები — მარკ ანდერსონი, ანდრე არენდსე; მცველები — მარკ ფიში, გევინ ლეინი, სიზვი მოტაუნგი, დევიდ ნიათი, ლუკას რადებე, ნეილ ტოვეი; ნახევარმცველები — ლინდა ბუტელეზი, დოქტორ ხუმალო, ჯონ მოეტი, ელმან მკალელე, ჯონ მოშოუ, დამირა ნგობე, ერიკ თინქლერი; თავდამსხმელები — ბრენდენ ავგუსტინი, შონ ბარტლეტი, ჯორჯ კუმანტერაკისი, ჯერი სიკოზანა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიდან ამხანაგურ შეხვედრებზე გადავიდეთ, რომელთაც იმავე დღეებში გამართავენ ოფიციალური მატჩებისგან თავისუფალი გუნდები. 2 აპრილს შვედებს საფრანგეთის ნაკრებთან ელით შეხვედრა. მეტოქეებმა უკვე დაასახელეს შემადგენლობები, მაგრამ სკანდინაველთაგან განსხვავებით, ემე ჟაკემ 37 ფეხბურთელს მოუყარა თავი და, როგორც თავად თქვა, ძირითადად მათზე დაყრდნობით შექმნის სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებს. შვედების თავკაცმა ტომი სვენსონმა მიიპატიჟა: მაგნუს ჰედმანი, თომას რაველი, პატრიკ ანდერსონი, იოაკიმ ბიორკლუნდი, კრისტიან კარლსონი, ტედი ლუჩიჩი, რონალდ ნილსონი, გარი სუნდგრენი, ნიკლას ალექსანდერსონი, ანდრეას ანდერსონი, კენეტ ანდერსონი, იესპერ ბლომკვისტი, მარტინ დალინი, იორგენ პეტერსონი, ჰენრიკ ლარსონი, ჰაკან მილდი, იოჰან მიელბიუ, შტეფან შვარცი, იონას ტერნი და პერ ზეტერბერგი. ფრანგთა 37 კაციანი „ლეგიონი" კი ასე გამოიყურება: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ კარბონე (ოსერი), ბერნარ ლამა (პსჟ), ლიონელ ლეტიზი (მეცი), კრისტოფ რევო (ლე ავრი); მცველები — ლორან ბლანი (ბარსელონა), პატრიკ ბლონდო (მონაკო), ვინსენტ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ალან გომა (ოსერი), პიერ ლეილი (სამპდორია), ფრანკ ლებეფი (ჩელსი), ბიქსენტ ლისარასუ (ატლეტიკო), ბრუნო ნგოტი (პსჟ), ლილიან ტურამი (პარმა); ნახევარმცველები — დიდიე დეშამპი (იუვენტუსი), მარტინ დიეტუ (მონაკო), ფრენკ გავა (ლიონი), კრისტიან კარემბუ (სამპდორია), საბრი ლამუში (ოსერი), სილვიან ლეგვინსკი (მონაკო), კლოდ მაკელელე (ნანტი), ემანუელ პეტი (მონაკო), პატრიკ ვიეირა (არსენალი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი); თავდამსხმელები — იბრაჰიმ ბა (ბორდო), იური ჯორკაეფი (ინტერი), ბერნარ დიომედი (ოსერი), კრისტოფ დუგარი (მილანი), ტიერი ანრი (მონაკო), მარკ კელერი (კარლსრუე), ლილიან ლასლანდი (ოსერი), პატრის ლოკო (პსჟ), ფლორან მორისი (ლიონი), ნიკოლა უედეკი (ესპანიოლი), რეინალდ პედროსი (პარმა), რობერ პირე (მეცი).

ლაშა გოდუაძე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXV ტური

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ვერდერი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| არმინია — კარლსრუე | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ლევერკუზენი — შალკე | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ჰანზა — ფრაიბურგი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| მიონხენგლადბახი — დიუსელდორფი | 1,5 | 3,0 | 5,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXIII ტური

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ვოლფსბურგი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლიუბეკი — ურდინგენი | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| როტ ვაისი — ჰერტა | 5,0 | 3,6 | 1,4 |
| **30 მარტი** | | | |
| ცვიკაუ — კარლ ცაისი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| აინტრახტი — უნტერჰახინგი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| გიუტერსლოო — ლაიპციგი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ოლდენბურგი — მაინცი | 3,0 | 3,0 | 1,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVII ტური

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ემპოლი — ბარი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პადოვა — დი სანგრო | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვენეცია — ჩეზენა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბრეშია — კიევო | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რავენა — პალერმო | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რეჯინა — კოზენცა | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლეჩე — კრემონეზე | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სალერნიტანა — ჯენოა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ფოჯა — ლუკეზე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პესკარა — ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXI ტური

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სოსიედადი — დეპორტივო | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| **30 მარტი** | | | |
| ვალენსია — ბარსელონა | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| სევილია — ვალიადოლიდი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ლოგრონიესი — ბილბაო | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| კომპოსტელა — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ტენერიფე — რეალი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| სარაგოსა — სელტა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| რასინგი — ერკულესი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ესპანიოლი — ბეტისი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| ოვიედო — რაიო ვალეკანო | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIX ტური

30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი B — ოსასუნა | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ესიხა — ბარსელონა B | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლას პალმასი — სალამანკა | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| ორენსე — ვილიარეალი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ალბასეტე — ატლეტიკო B | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| მერიდა — ბადახოსი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ლეგანიესი — მალიორკა | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ალმერია — ალავესი | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ტოლედო — ლევანტე | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლერიდა — ეიბარი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXI ტური

31 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ჩარლტონი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ბრედფორდი — სტოკ სიტი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| გრიმსბი — იფსვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ჰადერსფილდი — შეფილდ იუნაიტედი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| მანჩესტერ სიტი — ბოლტონი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ნორვიჩი — ოქსფორდი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ოლდემი — სვინდონი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| პორტ ვეილი — ტრანმერი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| რედინგი — ბარნსლი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| საუთენდი — პორტსმუთი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ვესტ ბრომვიჩი — კრისტალ პალასი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — მოლდოვა | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ხორვატია — დანია | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| შოტლანდია — ესტონეთი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| კვიპროსი — რუსეთი | 9,0 | 4,7 | 1,15 |
| უელსი — ბელგია | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ჰოლანდია — სან მარინო | 1,01 | 7,5 | 17,0 |
| 0:5 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| რუმინეთი — ლიხტენშტაინი | 1,01 | 7,5 | 17,0 |
| 0:5 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ალბანეთი — უკრაინა | 6,0 | 3,4 | 1,35 |
| **30 მარტი** | | | |
| ლუქსემბურგი — ისრაელი | 5,3 | 3,4 | 1,4 |
| **31 მარტი** | | | |
| მალტა — სლოვაკეთი | 7,5 | 4,4 | 1,2 |

### ამხანაგური მატჩი

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — მექსიკა | 1,35 | 3,3 | 6,5 |

## კალათბურთი

# შუა უდევს დიდი ზღვარი

ვერის ბაღი. 26 მარტი. უძლიერესი ხუთეულის მეორე წრე

### ვითა — სდასუ 109:75

**ვითა:** უხტიაშვილი (9), სანაძე (8), ჩხეიძე (14), ნაცვლიშვილი (8), ბერუაშვილი (11); ტურაშვილი (19), კობეშავიძე (8), ორმოცაძე (15), კოკოლიშვილი (8), ტულუში (9)

**სდასუ:** აბრამიძე (17), გაგნიძე (2), აბულაძე (12), ჩუბინიძე (4), მუშკუდიანი (4); დავითულიანი (18), დერიუგინი (2), ლოლაძე (4), ოქრუაშვილი (7), ბენდელიანი (3), ბიკაშვილი (2)

ხუთეულის ტურნირის პირველ წრეში სდასუ ერთადერთი გუნდი იყო, ვინც „ვითასთან" მოგება მოინდომა. სტუდენტებმა ბოლომდე იბრძოლეს და მხოლოდ 6 ქულით დამარცხდნენ. იმ შეხვედრას მათ იმდენი ენერგია შეალიეს, რომ მეორე დღეს უბრძოლველად დათმეს პრინციპული მატჩი „დინამოსთან".

ახლაც სდასუს „ვითასთან" შეხვედრის მეორე დღეს „დინამოსთან" უწევს თამაში და სტუდენტებმაც მთელი ძალით შეტაკებას ძალების შემონახვა არჩიეს. ამიტომაც მათი სასტარტო ხუთეული უჩვეულოდ გამოიყურებოდა. არ იყო არც დავითულიანი, არც დერიუგინი. ვითელებმა რომ ნახეს, მეტოქე ბრძოლის გამართვას არ აპირებსო, მშვიდად წარმართეს თამაში. სტუდენტები ამ სახეშეცვლილი შემადგენლობითაც შვიდი წუთის მანძილზე საკმაოდ კარგად მისდევდნენ ვითელებს და ანგარიშში სხვაობაც მხოლოდ ხუთი ქულა იყო, მაგრამ როცა სდასუმ კიდევ ერთი ძირითადი მოთამაშე დავითულიანი „შემოაპარა" მოედანზე, ვითელებმა მკვეთრად მოუმატეს და რამდენიმე წუთში გადაწყვიტეს მატჩის ბედი. „ვითამ" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა და საერთოდაც ძალზე საეჭვოა, ამ ჩემპიონატში ვინმესთან წააგოს.

### დინამო — შევარდენი 95:85

**დინამო:** ჟღენტი (7), ხოშტარია (15), ოთიურიძე (6), კილაძე (15), ბეჟანიშვილი (32); ჩიქოვანი (5), მაისურაძე (9), ნიკოლაძე (4), ნინიაშვილი (2)

**შევარდენი:** მაჭავარიანი (9), ჩხეიძე (22), გიგაური (18), წოწელია (28), ქევხიშვილი (6); ორჯონიკიძე (2), ლვინეფაძე

„შევარდენმა" კარგად დაიწყო — ოც წამში მაჭავარიანმა და ჩხეიძემ ხუთი ქულა მოუტანეს თავისიანებს და დინამოელები კარგა ხანს მდევრის როლში ამყოფეს. მხოლოდ მე-8 წუთზე დაწინაურდა „დინამო" 17:16, მაგრამ ცოტა ხნით — მალე წოწელიამ სამქულიანი ჩააგდო. თამაშში გარდატეხის შეტანა დინამოელებს არა და არ გამოსდიოდათ. კარგად თამაშობდნენ ჩხეიძე, გიგაური, წოწელია და, რომ არა დინამოელი ბეჟანიშვილის კარგი თამაში, „შევარდენი" ალბათ უფრო დიდ უპირატესობას მიაღწევდა. პირველი ტაიმის დასრულებამდე რვა წუთით ადრე დინამოელთა მწვრთნელმა გელა დარსაძემ (მოსეშვილი გუშინ არ ჩანდა) უცნაური ხუთეული დააყენა. სამი გამთამაშებელი — ჟღენტი, მაისურაძე, ხოშტარია და ორი თავდამსხმელი — ოთიურიძე და ბეჟანიშვილი. ეს, ალბათ, ტემპის მოსამატებლად, მაგრამ ამანაც არ გაამართლა. მაისურაძეს შორიდან ტყორცნა არ წაუვიდა, ხოშტარიას — გარღვევები და დინამოელებმა ისევ ტრადიციულად, ორი უკანახაზელით განაგრძეს თამაში. ტაიმი შვიდი ქულით „შევარდენმა" მოიგო — 48:41.

მეორე ტაიმში დარსაძემ დასაწყისშივე მიმართა სამი უკანახეზელით თამაშს და ამჯერად გაუმართლა. დინამოელებმა ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ მეორე ნახევრის პირველი ხუთწუთეული 18:3 მოიგეს. „შევარდენი" აირია, მისი ლიდერები ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდნენ, რამაც გუნდს აშკარად არ არგო. მალე ქევხიშვილმა ხუთი პერსონალურის გამო დატოვა მოედანი და ბეჟანიშვილის შეჩერება, მანამდეც რომ ძნელი იყო, ახლა საერთოდ შეუძლებელი გახდა. მას კილაძე, მაისურაძე, ხოშტარიაც აჰყვნენ და შეხვედრის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. დინამოელებმა სათადარიგოებიც ათამაშეს და, მიუხედავად იმისა, რომ „შევარდენი" არ ნებდებოდა, მშვიდად დაასრულეს მატჩი გამარჯვებით. წერტილი ბოლო წამზე „დინამოს" ახალბედა ნინიაშვილმა დასვა.

ხუთეულის შეხვედრებში მოგვიანებით ჩაერთვება რუსთავის „აზოტი", რომლის ორი მოთამაშე ბოისა და წიკლაური საქართველოს 1980 წლამდე დაბადებულთა ნაკრებს გაჰყვნენ მინსკის საერთაშორისო ტურნირზე. ამ ტურნირს გუნდის მწვრთნელები თამაზ ოქრუაშვილი და მერაბ ცირეკიძე ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ, რომელიც 18 აპრილს დაიწყება ესტონეთში. საქართველოს ნაკრების გარდა იქ ითამაშებენ ესტონეთი, ფინეთი, პოლონეთი და რუსეთი. სამი გამარჯვებული შემდგომ შესარჩევ ეტაპზე გავა.

**კოტე მგალობლიშვილი**

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

24 მარტი

ლეიკერზი — ნიუ ჯერსი 109:84

25 მარტი

ინდიანა — ტორონტო 98:84, ატლანტა — პორტლენდი 96:89, ორლანდო — საკრამენტო 114:103, სან ანტონიო — კლივლენდი 64:59, ჩიკაგო — დალასი 94:92, ჰიუსტონი — მინესოტა 112:103, ფინიქსი — მილუოკი 117:112, სიეტლი — გოლდენ სტეიტი 126:89, კლიპერზი — ვანკუვერი 110:104

### ევროპის თასი. ნახევარფინალი

პირველი მატჩები. 25 მარტი

ირაკლისი (საბერძნეთი) — რიელი (იტალია) 96:62; რეალი (ესპანეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 62:53

საპასუხო მატჩები 1 აპრილს გაიმართება

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰაშეკი, შესაძლოა, MVP გახდეს

**24 მარტი.** მონრეალი — ბოსტონი 3:1, რეინჯერზი — პიტსბურგი 3:0, ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 2:2, ედმონტონი — სან ხოსე 5:1

**25 მარტი.** ჰარტფორდი — კოლორადო 0:4, ნიუ ჯერზი — ფილადელფია 3:4, ვაშინგტონი — სენტ ლუისი 3:2, ტამპა — ოტავა 5:0, კალგარი — ანაჰაიმი 3:2

24 მარტს ნიუ იორკში გამართული მატჩი უთუოდ სამახსოვრო იყო: 80-90-იანი წლების ყველაზე გამორჩენილმა ვარსკვლავებმა — რეინჯერმა გრეცკიმ და კარიერის დასრულების მსურველმა პიტსბურგელმა ლემიემ ბოლო ორთაბრძოლა გამართეს. მთელი კარიერის მანძილზე ლემიეს მჯობნი გრეცკი ამჯერადაც პიტსბურგელზე უკეთესი იყო — უეინმა 1 გოლი (ზედიზედ მეოთხე მატჩში გააქვს) და 1 პასი გააზერხა, ლემიე და მისი გუნდი კი მშრალზე დარჩა, რაც ნიუიორკელთა გოლკიპერის რიხტერის (34 მოგერიება და მეოთხე მშრალი მატჩი) დამსახურებაა. მატჩის შემდეგ გრეცკიმ სინანული გამოთქვა ლემიეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ასეა თუ ისე, ამ ორი უდიდესი მოთამაშის პაექრობა გრეცკის სასარგებლოდ დასრულდა: შესაბამისად — 60 და 38 ქულა.

აღსანიშნავია, რომ რეინჯერზი და პიტსბურგი კონფერენციის მეხუთე ადგილს ედავებიან ერთმანეთს და უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ პოზიციაზე გასულ გუნდს არცთუ სასურველ მეტოქესთან — ფლორიდასთან მოუწევს ფლეი-ოფში ბრძოლა.

ბოლო დღეებში კვლავ მიიპყრეს ყურადღება გოლკიპერებმა. წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული ირბე (სამ მატჩში 3 გაშვებული შაიბა და 1 საგოლე პასი) აღიარეს, ხოლო ხუთშაბათს კვლავ გაიბრწყინა ლიგის ყველაზე სახელიანმა მეკარემ, კოლორადოელმა რუამ. ლიდერის მეტოქემ, ზედიზედ ოთხი წაგებით გამწარებულმა ჰარტფორდმა პირველი წუთებიდანვე შეუტია რუას კარს, მაგრამ კოლორადოელი შეუვალი იყო. საბოლოოდ, გოლკიპერმა 46 დარტყმა მოიგერია, მე-7 მშრალი მატჩი ჩაატარა და ფინიქსელ ჰაბიბულინს დაეწია. მეკარის თავგამოდებამ მის პარტნიორებსაც შეასხა ფრთები, რომელთაგან კვლავ ფორსბერგი და კამენსკი გამოირჩნენ. „ეველანშმა" პირველმა გადალახა 100 ქულიანი ზღვარი და ალბათ კონფერენციის ჩემპიონობასაც არ გაუშვებს ხელიდან, თან ლიგის ყველაზე შედეგიანი გუნდია — 252 შაიბა.

მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვა ედმონტონმა, რომლის საუკეთესო სნაიპერმა სმიტმა (33) ორი შაიბა შეაგდო. ვანკუვერმა კი, ახალშეძენილი ნემჩინოვის (პირველი მატჩი ამ კლუბში) და მოგილნის კარგი თამაშის მიუხედავად, ვერ შეძლო აუტსაიდერი ლოს ანჯელესის ძლევა. „მეფეთაგან" ორივე შაიბა ხრისტიჩ-იაჩმენევ-ციპლაკოვის სამეულმა გაახერხა.

ტურის ცენტრალურ მატჩში აღმოსავლეთის ლიდერები — ნიუ ჯერზი და ფილადელფია ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. სტუმრებს ტრავმის გამო ლინდროსი აკლდათ, მაგრამ მისმა პარტნიორებმა მაინც აჯობეს მეტოქეს. მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე ლეკლერმა თავისი 48-ე შაიბა შეაგდო და კვლავ დაწინაურდა სნაიპერთა შორის. ამ გამარჯვებამ ფილადელფიას კონფერენციის ერთპიროვნული ლიდერობა მოუტანა.

აშშ-ს ავტორიტეტულმა გაზეთმა „ჰოკი ნიუზმა" დაასახელა ლიგის ტიტულების მთავარ კანდიდატთა ვინაობა. სიას დაერთო მითითება, რომ პირველად 35 წლის განმავლობაში ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, ეგრეთ წოდებული MVP შეიძლება გახდეს გოლკიპერი — ბუფალოელი ჰაშეკი.

**სამველ ღარიბიანი**

## ჭადრაკი

# დაწინაურდა ყაჭეიშვილი

ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე საქართველოს ვაჟთა ღია ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა გიორგი ყაჭეიშვილი, რომელმაც მეექვსე და მეშვიდე ტურებში გაიმარჯვა და ახლა 6 ქულა აქვს.

გიორგი ბაქრაძე, რომან სიჭინავა და იოსებ კვირიაშვილი ყაჭეიშვილს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან, 5 ქულა კი ხუთ მოჭადრაკეს აქვს: გიორგი ბაღათუროვს, ჯამბულ მახარაძეს, იური ჩიქოვანს, ალექსანდრე კაჭაშვილს და არტურ ჩიბუჩიანს სომხეთიდან.

ჩემპიონატის მონაწილე ქალთაგან ყველაზე უკეთ ინგა ხურცილავა ასპარეზობს. მას 4,5 ქულა აქვს.

## ფრენბურთი

ფრენბურთელმა ქალებმა ჩუღურეთის რაიონის სპორტსკოლის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის I წრის ნახევარზე მეტი უკვე გალიეს. დღემდე დაუმარცხებელნი ფიზკულტურის აკადემიის კლუბი „კოლხი" და აგრარული უნივერსიტეტის გუნდი არიან. ისინი პირად შეხვედრაში გაარკვევენ ერთპიროვნული ლიდერის ვინაობას.

**21 მარტი:** ქუთაისი — რუსთავი 2:0, აგრარული უნივერსიტეტი — ჩუღურეთი 2:0, „კოლხი" — სპორტსკოლა 2:0, ვეტერანები (დიდუბე) — დიდი ჯიხაიში 0:2.

**22 მარტი:** რუსთავი — სპორტსკოლა 0:2, „კოლხი" — დიდი ჯიხაიში 2:0, აგრარული უნივერსიტეტი — ქუთაისი 2:0, ვეტერანები — ჩუღურეთი 0:2.

**23 მარტი:** დიდი ჯიხაიში — რუსთავი 2:0, ქუთაისი — კოლხი 0:2.

**24 მარტი:** „კოლხი" — რუსთავი 2:0, ჩუღურეთი — ქუთაისი 1:2, დიდი ჯიხაიში — აგრარული უნივერსიტეტი 0:2, სპორტსკოლა — ვეტერანები 2:0.

**25 მარტი:** ჩუღურეთი — რუსთავი 2:0, ქუთაისი — დიდი ჯიხაიში 2:0, აგრარული უნივერსიტეტი — სპორტსკოლა 2:0, ვეტერანები — „კოლხი" 0:2.

# რომი: ტატამზე და კოლიზეუმში



[illegible]



[illegible]



[illegible]

## რომის საერთაშორისო ტურნირი

[illegible]



## ბულგარეთი დავანგრიეთ

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# პრანჩაც გააგდეს



კი-ბისკეინის (ფლორიდა, აშშ) „კრენდონ პარკში" დიდი სლემის ტურნირების შემდეგ ყველაზე პატივდებული „ლიპტონის ჩემპიონატი" გახურდა. ქალთა განრიგი ერთი დღით უსწრებს ვაჟებისას. წუხელ დიაცები მეოთხედფინალს თუ გაასრულებდნენ, ვაჟები ოდენ შეუდგებოდნენ საქმეს.

როგორც გვეწერა, „ლიპტონს" წელს ახალი ჩემპიონები ეყოლება, რადგან შარშანდელებიდან ერთი — შტეფი გრაფი (გერმანია) წელს თამაშობს, მეორე — ანდრე აგასი (აშშ) კი სტარტზევე გავარდა. სამაგიეროდ, მაგრად უბერავენ პირველ ნომრებად განთესილები — პიტ სამპრასი (აშშ) და მარტინა ჰინგისი (შვეიცარია).

### ქალები

IV წრე (მერვედფინალი). 24. 03

პინგისი (1) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 16) 6:3, 2:6, 6:3; მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 10) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 5) 6:2, 6:4; ივა მაიოლი (ხორვატია, 8) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:2, 4:6, 6:2; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 3) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:3, 6:4

ირინა სპირლეა (რუმინეთი, 7) — ჩანდა რუბინი (აშშ) 1:6, 7:6 (7-2), 7:6 (7-4); მონიკა სელეში (აშშ, 4) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:2, 6:1; ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 11) — ალექსანდრა ფუზე (საფრანგეთი) 6:1, 2:6, 6:1; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) 6:0, 7:5

სანჩეს-ვიკარიოს შარშან მაისის აქეთ შეჯიბრი ვერაფრით მოუგია, ტესტიუსთან მარცხი კი გადაღლასა და სიცხეს დააბრალა. ფერნანდესსა და დავენპორტს წყვილად ექვსი ტიტული აქვთ მოგებული, მაგრამ წელს რაღაც გაუგებრობის გამო დაუბრებულან. ჰოდა, ნამატჩევს ერთმანეთს ძველებურად აღარ ჩახუტებიან და არც უტირიათ.

მეოთხედფინალი. 25. 03

სელეში (4) — სპირლეა (7) 3:6, 6:2, 6:3; პაულუსი (11) — ტესტიუ 6:3, 6:3

მონიკას კვლავაც ეტყობა ოთხი თვის უქმობა, მაგრამ ნებისყოფის წყალობით მაინც იმარჯვებს. ორგანიზატორებსაც უხარიათ: ფინალად ხომ ჰინგის — სელეშს ნატრობენ.

წუხელ ითამაშებდნენ პინგისი — ფერნანდესი და მაიოლი — ნოვოტნა.

16 წლის რუსმა კურნიკოვამ ვერაფერი დააკლო გამოცდილ ნოვოტნას

ასოშიეიტიდ პრესი ფლორიდიდან

### ვაჟები

ორშაბათს სამპრასმა (1) მესამე წრეში 6:3, 7:6 (7-3) ძლია ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი). წააგო კიდევ ერთმა ესპანელმა — ავსტრალიის პირველობის ფინალისტმა კარლოს მოიამ (7): მას 6:4, 3:6, 6:3 აჯობა შვედმა მიქაელ თილსტრომმა. აგასის მძლეველი სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) 4:6, 6:1, 6:4 დაამარცხა ვეტერანმა ჯიმ კურიემ (აშშ), თუმც გადამწყვეტ ხელში 1:4 ჩამორჩებოდა.

IV წრე (მერვედფინალი). 25. 03

სამპრასი (1) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 6:0; პენდრიკ დრიკმანი (გერმანია) — თილსტრომი 6:3, 6:4; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — ნიკლას კულტი (შვედეთი) 4:6, 6:3, 7:5; სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:6 (7-0), 6:4

თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:3, 6:4; კურიე — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 5) 7:6 (8-6), 6:4; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:4

თიხაზე თამაშის კარუზო მუსტერი წელს ამერიკელ კრიტიკოსთა ჩაჩუმებას ცდილობს და ხისტ საფარზეც ბევრს თამაშობს. ხუმარა თომასი, ვინაც მედიას განუცხადა, დურგლად ვერ ვივარგე, თორემ ჩოგბურთელად რა მრჯიდაო, ერთხელ — 1989 წელს უკვე გასულა „ლიპტონის" ფინალში, მაგრამ თამაში არ დასცალდა — მავანი მთვრალი მანქანით დაეჯახა და ფეხი მოტეხა.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

# ლომი ლომია: გინდ ტრანსვაალის, გინდ ჰაუტენჯის!

ᲬᲘᲜᲐ კვირის ორშაბათს 108 წლის ტრანსვაალის რაგბის კავშირმა ქვეყნის ახალ, ზანგურ ხელისუფლებას თავი მოუქონა და „ჰაუტენჯის ლომების რაგბის კავშირი" დაირქვა. სიახლე შაბათსვე აისახა „ელის პარკის" ელექტრო-ტაბლოზე და მატჩის ანგარიშში, ახალ-ლოგოიან კვართებს კი გუნდი ივნისშიღა, შინაური ქარრის თასის სტარტზე ჩაიცმევს.

სახელის შეცვლამ იოჰანესბურგელებს ვერაფერი დააკლო. ისინი ერთი პირობა 26:6 უგებდნენ სიდნეის „ვარათაზს", ვისაც აკლდნენ შვიდკაცას მსოფლიო თასზე მოასპარეზე ქემფიზი და ბრაიალი. ბერქმაც ორი დარტყმა ძელს მოახვედრა. და მაინც, ავსტრალიელები 64-ე წუთზე ერთი ქულით დაწინაურდნენ. ჯონსონმა მეხუთე საჯარიმოთი უმალ აღადგინა სტატუს-ქვო, ბოლო წუთზე გატანილი და გარდასახული ლელოთი კი „ლომებმა" სტუმრებს სანუგეშო ქულაც არ დაანებეს. მასპინძელთაგან სასწაულად ითამაშა იაპი მულდერმა (13), რომელიც ათი დღით ადრე შვიდკაცას ნაკრებს დაშავებული გამოაკლდა.

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲡ მწვრთნელმა მაკინტოშმა გარისკა და 9 ნომრად ორი წლის უთამაშებელი ბებერი დიუპრე დააყენა. „ზვიგენები" ერთობ აიბნენ, ორი კვირის წინ ერთბაშად 50 ქულის გამტანმა ლოლისმა კი 5 დარტყმა გააფუჭა. ბოლოს ნატალი მაინც წამოეწია მეტოქეს და რაკი ლელოც ბლომად გაუტანა, 2 ქულა მაინც დაიმსახურა.



8 გოლის გამტანი სმითი ნარინჯმა შემცვლელად შეიყვანა. თამაშში გვიან ჩაება კანბერის ტონგელი ფლანკერი იპოლიტო ფენუკიტაუც, მაგრამ 3 ძალისმიერი ლელო მაინც გაიტანა. შინ პირველად მოთამაშე „რაშებმა" ტაიმი ოდენ 13:10 მოიგეს, მერე კი 33-ქულიანი სპურტი მოაწყვეს.

### IV კვირა

22. 03. დანიდინი. ოთაგო (ზელანდია) 27 (2ლ: ფილი, ვილსონი; გ, 5ს: ქელეინი) — ჩრდ. ტრანსვაალი (აფრიკა) 7 (ლ: რ. კრუგერი; გ: ნორცე)

ჰამილთონი. ვაიქათო (ზელ) 31 (3ლ: მეთიუზი, რეიპანა, კუპერი; 2გ, 4ს: კუპერი) — ქვინზლენდი (ავსტრალია) 16 (ლ: თიუნი; გ, 3ს: ილზი)

კანბერა. დედაქალაქი (ავსტ) 49 (6ლ: ფენუკიტაუ 3, გრეგანი, პარდი, ლენგფორდი; 2გ, 4ს, ა: ნოქსი) — ქენთებრი (ზელ) 29 (5ლ: მათსონი 2, ქერი, ბალე, რობერთსონი; 2გ: მაკდონალდი)

ბლუმფონტეინი. ნარინჯი (აფრ) 45 (3ლ: კოტცე, ელსი, ბადენპორსტი; 3გ: დებეერი 2, სმითი; 8ს: ი. კრუგერი, სმითი 7) — ნატალი (აფრ) 40 (5ლ: სტრაიდომი, ფივი, ალენი, ო. ლერუ, ტაიხმანი; 3გ, 3ს: ლოლისი)

იოჰანესბურგი. ჰაუტენჯი (აფრ) 36 (3ლ: ვიზე, ჯონსონი, რუ; 3გ, 5ს: ჯონსონი) — ახ. სამხრ. უელსი (ავსტ) 27 (3ლ: ფინაუ, პინკერტონი, მერდოქი; 3გ, 2ს: ბერქი)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაუტენჯი | 4 | 4 | 0 | 0 | 2 | 151:112 | 18 |
| ნატალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 150:114 | 12 |
| ვაიქათო | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 103: 86 | 12 |
| ოქლენდი (ზელ) | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 90: 71 | 11 |
| კანბერა | 4 | 2 | 2 | 0 | 3 | 135:127 | 11 |
| ნარინჯი | 4 | 2 | 2 | 0 | 1 | 115:112 | 9 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2 | 93:134 | 8 |
|ველინგ. (ზელ) | 3 | 1 | 2 | 0 | 3 | 99: 74 | 7 |
| ოთაგო | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 99:129 | 6 |
| ახ. სამხრ. უელ. | 3 | 1 | 2 | 0 | 1 | 78: 77 | 5 |
| ქენთებრი | 3 | 1 | 2 | 0 | 1 | 56: 91 | 5 |
| ქვინზლენდი | 4 | 0 | 4 | 0 | 1 | 62:104 | 1 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+" გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

ᲘᲡᲔᲕ ᲬᲐᲐᲒᲝ ფავორიტმა ქვინზლენდმა, თუმცკი გარემარბად ლიგიდან რაგბში მოსული ვილი ქარნი ათამაშა. კაპიტანმა ილზმა ვაიქათოს ბლომად მოუგო დერეფანი. გუნდსაც ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ მასპინძელმა „ბელადებმა" იშვიათი ჯიგრით იომეს. ვეტერანი შუამარბი ფრენკ ბანსი ზელანდიელთა სული, გული და ტვინი იყო. და მაინც, ვაიქათოს ორი ლელო აჩუქა 15 ნომრად მოთამაშე თიმ ჰორანმა. ასეა თუ ისე, „წითლები" იხტიბარს არ იტეხენ და ყოველი წაგებული თამაშის შემდეგ იქადნიან, შემდეგი ტურიდან დაწყებული ყველა მატჩს მოვიგებთ და პლეი-ოფში მაინც გავალთო.

ჩრდ. ტრანსვაალს შვიდკაცაზე მიევლინა იუსტ ფანდერვესტჰოიზენი (9) და ოლიფიე. დაშავებულიყო რიხტერიც (8). „ლურჯმა ხარებმა" უჭკუოდ ითამაშეს და პირწმინდად წააგეს ოთაგოსთან, ვინაც აფრიკიდან შინ 2 ქულის ამარა დაბრუნებულიყო.

## ტელევიზია

EUROSPORT

„საქართველოს" დროით

### დღეს, ხუთშაბათს, 27 მარტს

12.30 ავტოჟურნალი „ძრავები"
13.30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო პირველობის ნახევარფინალი: ბრაზილია — არგენტინა. ბრაზილიიდან
14.30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასები: სიდნეიდან (ვაჟთა); 15.30 მეხიკოდან (ქალთა)
16.00 ფეხბურთი: „მსოფლიო თასის ლეგენდები"
17.00 სათხილამურო კროსი. ნორვეგიიდან
17.30 სნოუბორდი. მსოფლიო ტური. სოლითიუდიდან (აშშ)
18.00 ჭერქვეშა ველოკროსი. ბერსიდან (პარიზი)
19.00 ჩოგბურთი. „ლიპტონის ჩემპიონატი". კი-ბისკეინიდან (ფლორიდა, აშშ)
21.00 ოლიმპიური ჟურნალი
21.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი: აშშ — კანადა (16.III)
22.30 მსუბუქი მანქანები. ბრიტანეთის ჩემპიონატის წარდგენა
23.30 სუმო. ბაშოს ტურნირი. ტოკიოდან
0.30 ჩოგბურთი. „ლიპტონის ჩემპიონატის" მეოთხედფინალი (პ)
3.00 კალათბურთი. ევროპის ლიგის მეოთხედფინალი: ისთანბული (თურქეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)
4.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"
5.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ" (5.30-მდე)

### ხვალ, პარასკევს, 28 მარტს

12.30 სათხილამურო კროსი. ნორვეგიიდან
13.00 ოლიმპიური ჟურნალი
13.30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო პირველობის ფინალი. ბრაზილიიდან
14.30 გიჟმაჟთა ჟურნალი „სრბოლა"
15.00 დაკარი — ალადესი — დაკარის ავტო-რალი
16.00 ციგურაობა. შორთ-თრექის მსოფლიო პირველობა. ნაგანოდან (იაპონია)
18.00 „მსოფლიოს უღონიერესი კაცი"
19.00 ჩოგბურთი. „ლიპტონის ჩემპიონატი"
21.00 კრივი. კრეისერის წონა: ჯ. როკიჯანი — ჯ. სქალი. ბერლინიდან
22.00 საერთაშორისო ავტოსპორტის ჟურნალი
23.00 ჩოგბურთი. „ლიპტონის ჩემპიონატის" ნახევარფინალი (პ)
1.00 „მსოფლიოს უღონიერესი კაცი"
2.00 დაფოსნას ევროტური. ლიონიდან (პ)
4.00 ოლიმპიური ჟურნალი
4.30 კრივი. „მძიმე წონის ამოფრქვევა ბევერლი-პილზში": ბ. პარისი — პ. ანისი (კალიფორნიიდან) (5.30-მდე)

(პ) პირდაპირი გადმოცემა

## ველორბოლა

ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲓᲐ, დასრულდა მოთხილამურეთა მსოფლიო თასი. სამაგიეროდ, დაიწყო თითოდღიანი საგზატკეცილო ველო-რბოლებისა.

ეს შეჯიბრი ახალია — 1989 წელსაა დაწესებული. მრბოლები მუქთად იკლავენ თავს. ჯილდო ოდენ გამარჯვებულის სარგო კვართი და კიდევ მსოფლიო კლასიფიკაციის ქულებია. ამიტომაა, რომ დიდად არ ეპიტნავებათ, თუკი რომელიმე სტარტი ევროპის გარეთ დაინიშნება.

წელს 10 ეტაპია დაგეგმილი. ყველა ევროპულია. აპრილში მრბოლები ზედიზედ ოთხ უქმეებზე იასპარეზებენ. მერე იტალიური „ჯიროსა" და ფრანგული „ტურის" გამო აგვისტომდე პაუზა იქნება. მერე კიდევ ესპანური „ვუელტაა". თასის გათამაშება ოქტომბერში დასრულდება.

თასი ორ-ორჯერ მოუგიათ იტალიელ მაურიციო ფონდრიესტს (1991, 1993) და ბელგიელ იოჰან მიუზეუვს (შარშან და შარშანწინ). 31 წლის მიუზეუვმა შარშან, ლუგანოში (შვეიცარია) საგზატკეცილო რბოლის მსოფლიო ჩემპიონატიც რომ მოიგო, სპორტისთვის თავის მინებება დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

# ფინიშთან ბევრი დაეცა



ფინიშამდე 10 მეტრი რომ დარჩა, დაეცნენ მიუზეუვი, ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) და მაქს შანდრი (ბრიტანეთი). სამივე დაიჟეჟა, მაგრამ არაფერი მოტეხია

ასოშიეიტიდ პრესი სან-რემოდან

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ სეზონი შაბათს, 22 მარტს, უძველესი, 88-ე მილან — სან-რემოს 294-კილომეტრიანი რბოლით გაიხსნა. გაიმარჯვა 26 წლის გერმანელმა ერიკ ცაბელმა (100 ქულა). მან ზედ ფინიშზე მოუგო ერთბაშად ხუთ იტალიელს: ალბერტო ელის (70), ბიაჯო კონტეს (50), ფრანჩესკო კაზაგრანდეს (40), მიკელე ბარტოლის (36) და მირკო ჩელესტინოს (32). ჩათვლა სულ 25 მოწინავეს ერგო — ყაზახმა ალექსანდრ შეფერმა 1 ქულა დაითრია.

## მძლეოსნობა

# კენიელებს კროსში, აბა, ვინ აჯობებდა

ᲬᲘᲜᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ მეორე ნახევარში მსოფლიო მძლეოსნობის იტალიელმა მამამ — დოქტორმა პრიმო ნებიოლომ თავისი ამქარი ტურინში შეყარა. დიდ-მოხელეებმა იქ ჯერ საერთაშორისო ფედერაციის (ИААФ) ალმასკომის სხდომა გამართეს, მერე კი „პარკო დელ ვალენტინოში" კროსის 25-ე მსოფლიო ჩემპიონატსაც დაესწრნენ. რაკი ნებიოლო მძლეოსნობის სატელევიზიო იმიჯის გასაუმჯობესებლად ბევრს ილვწის, მდინარე პოს ნაპირას სანაგებოდ მოაწყობინა ბალახიანი ტრასა.

ხუთშაბათს ალმასკომმა დაადგინა, რომ 1999 წლის „ნაღდი" (და არა ჭერქვეშა) მსოფლიო ჩემპიონატი სევილიაში გაიმართოს. ესპანეთის ამ ქალაქს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (СОК) 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის განაცხადი თავიდანვე დაუწუნა, მაგრამ ИААФ-მა მძლეოსნობის ფორუმის მომწყობად იგი მაინც ამჯობინა ნიუ-დელის (ინდოეთი), 1983 წლის პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ჰელსინკს (ფინეთი) და სთენფორდს (კალიფორნია, აშშ).

ნებიოლოს თავიდანვე ეთქვა, რომ მასპინძლის არჩევისას გადამწყვეტი გეოგრაფიული მოსაზრებები იქნებოდა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა აღიარა, რომ ИААФ ვერ უმკლავდება მავანი ქვეყნების შრომითს კანონმდებლობას, რომელთა თანახმად ადამიანისათვის პროფესიული საქმიანობის აკრძალვა ორ წელზე მეტი ხნით არ ეგების. ამის გამოა, რომ თუმც ИААФ-ს სტეროიდების ხმარებისათვის ოთხწლიანი სავალდებულო დისკვალიფიკაცია აქვს დაწესებული, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი და თვით დემოკრატიის გზაზე ახლახანს შემდგარი რუსეთიც თავიანთ ცდომილებს ორწლიან სასჯელს აკმარებენ ხოლმე.

გაირჩა ბერძენთა გახმაურებული სკანდალიც, თებერვალში დორტმუნდის შეჯიბრებიდან რომ „აითესნენ" და დოპინგ-კონტროლი არ გაიარეს. იმ გუნდიდან ორნი პარიზში, მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ. ИААФ-მა ბერძნებს ადროვა და საქმის დამატებით მოძიება თავადვე დაავალა.

### კროსის მსოფლიო ჩემპიონატი

ვაჟები (12 333 მ): 1. პოლ ტერგატი (კენია) 35 წუთი. 11 წამი; 2. სალაჰ ჰისუ (მაროკო) 35.13; 3. თომას ნიარიკი (კენია) 35.20; 4. პოლ კოეჩი (კენია) 35.23; 5. მოჰამედ მურჰუითი (ბელგია!) 35.35; ... 9. ხულიო რეი (ესპანეთი) 35.57; ... გუნდური (6 უკეთესის ადგილთა ჯამი): კენია 51; მაროკო 70; ეთიოპია 125; პორტუგალია 263; ესპანეთი 275

ქალები (6 700 მ): 1. დერართუ თულუ (ეთიოპია) 20.53; 2. პოლა რადკლიფი (ბრიტანეთი) 20.55; 3. გეთენეშ ვამი (ეთიოპია) 21.00; 4. ხულია ვაკერო (ესპანეთი) 21.01; 5. სალი ბარსოსიო (კენია) 21.05; ... 7. კატრინა მაკქირნანი (ირლანდია) 21.20; ... 9. სონია ოსალივანი (ირლანდია) 21.25; ... გუნდური (4): ეთიოპია 24; კენია 34; ირლანდია 64; ბრიტანეთი 98; იაპონია 100

ჭაბუკები (8 511 მ): 1. ელიჯა კორირი (კენია) 24.20; 2. მილიონ ვოლდე (ეთიოპია) 24.28; 3. პოლ კოსგეი (კენია) 24.29; ... გუნდური (4): კენია 13; ეთიოპია 31; მაროკო 74

გოგონები (4 089 მ): 1. როუზ კოსკეი (კენია) 14.58; 2. პრისკა ჯეპლეტინგი (კენია) 14.59; 3. აიელეჩ ვორქუ (ეთიოპია) 15.02; ... გუნდური (4): კენია 15; იაპონია 38; ეთიოპია 39

ᲕᲐᲟᲗᲐ გარბენში კენიელებმა გამქცევად ნიარიკი დააყენეს. 10 000 მეტრზე სირბილის მსოფლიო რეკორდსმენი, მაროკოელი ჰისუ მარტო ეომა ბევრ ხანს, რაკი თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს. მაღრიბელმა ბოლო წრეზე ყველა ჩამოიტოვა და ტერგატის გასწრებაც ორჯერ სცადა, მაგრამ ამაოდ. კენიელმა ზედიზედ მესამედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და ახლა ჩამორჩება მხოლოდ თანამემამულე ჯონ ნგუგის, რომელიც ხუთგზის ჩემპიონია.

ᲥᲐᲚᲗᲐ გარბენს ჯერ ოსალივანი ლიდერობდა, მერე — ბარსოსიო, მერე კიდევ — მაკქირნანი. ოსალივანმა ბოლო წრის დაწყებას ვეღარ გაუძლო. ფინიშამდე 700 მეტრი რომ დარჩა, შარშანდელი ჩემპიონი ვამი წინ გაიჭრა. მას დაეწია და გაუსწრო რადკლიფმა, მაგრამ შარშანწინდელმა გამარჯვებულმა თულუმ ბოლო 400 მეტრზე ბრიტანელს შანსი აღარ დაუტოვა.

გაისად მეკროსეები მარაქეშში (მაროკო) შეიკრიბებიან.



კენიელმა პოლ ტერგატმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა უპირველესი კროსმენის ტიტული, ეთიოპმა დერართუ თულუმ კი შარშან დაკარგული წოდება დაიბრუნა

როიტერი ტურინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29